გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 46
(11 503)

15 – 18 ივნისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გადაბრალებასაც ნიჭი უნდა, ანუ დამტკიცება სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე ყველამ შეძლო, "გზა ხსნისა" კი ბურუსში დარჩა

„ჩემო დათო, ერთად მოვედით და ერთად წავალთ, მადლობა შენ ერთად ყოფნისთვის, ჯიგარი ხარ". – თქვა რეზო ძოძუაშვილმა, გადაკოცნა დათო ყიფიანი და დარბაზიდან გავიდა...

4

ეს იყო კულმინაციის მომენტი, რომელსაც წინ უსწრებდა სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე რეზო ძოძუაშვილის თავის მართლებითა და ბრალდებებით შეზავებული ხმაურიანი გამოსვლა. ეს იყო ნამდვილად მძიმე დღე, რომელმაც საბოლოო ჯამში ვერაფერი დაამტკიცა, გარდა ქვეყნის ყოფიდან გამომდინარე, ქართული ფეხბურთის უსუსურობა – უილაჯობისა და ყველა დაფიქრა ერთ მთავარ კითხვაზე, რატომ ვართ ასე ამბიციურები, რატომ გვგო-

ჩვენს სპორტულ სამყაროში

«ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა წარმატებულმა სტარტმა 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში, ალალად გაახარა ჩვენი სპორტის ქომაგები. რა იქნება შემდეგ? პასუხი ამ კითხვაზე ყველას აინტერესებს და მიიღეს კიდეც მასმედიის საშუალებით სპორტის დეპარტამენტში დეპარტამენტისა და ნაკრების ხელმძღვანელების ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ. პროგნოზები საიმედოა, მოკლედ ასე შეიძლება შევაფასოთ საერთო განწყობა.

ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები

ცხადია, დიდი მითქმა-მოთქმისა და განსჯის საგანი გახდა ფეხბურთელთა ნაკრების გამოსვლები შესარჩევ ეტაპზე. „ლელოს" დღევანდელ ნომერში ამ თემაზე ვრცელი წერილი ქვეყნდება და აქ მეტს აღარაფერს ვიტყვით.

არასასიამოვნო ცნობა მივიღეთ გერმანიიდან, სადაც ტყვიის სროლაში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ჩატარდა. ჩატარდა წინა ეტაპზე მეორე პრიზიორის ნინო სალუქვაძის გარეშე, რომელსაც თურმე იარაღი გაუტყდა.

გრძელდება საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშები. გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს ცურვის ხალხური სახეობების და წყალზე ხალხური თამაშების ფესტივალის მოსაწყობად, რომელსაც სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა კლუბი „გიორგი" უდგას სათავეში.

თბილისში ამ დღეებში სტუმრობდა უეფას დელეგაცია, რომელმაც სფფ-ს მონიტორინგი ჩაატარა...

გიორგი აბაშიძე – ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სპორტსმენთა მოპოვებული მედლების 68 პროცენტი მოჭიდავეებზე მოდის, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის ჭიდაობის ფედერაციას მიუძღვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ცინცქილაძე, ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი ილია წულუკიძე, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები რომან რურუა, როსტომ აბაშიძე, დავით გობეჯიშვილი, გურამ საღარაძე. საქართველოს და აჭარის სპორტის დეპარტამენტის მუშაკები. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასხოვი.

კონფერენციამ აჭარის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია გიორგი აბაშიძე.

გოჩა ძასხოვმა განაცხადა, რომ გიორგი აბაშიძე გამოცდილი ბიზნესმენი და ორგანიზატორია. იგი სპორტის, აჭარის ახალგაზრდობის ლიდერიცაა და მისი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს უნდა ველოდეთ.

ოთარ მურვანიძე,
ბათუმი: „ლელოს" საკ. კორ.

გივი ნოდია

კახი ცხადაძე

„ლოკომოტივით" კმაყოფილი გივი ნოდია „დინამოში" გადავიდა

გუშინ ქართულ საფეხბურთო სამყაროში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. „ლოკომოტივის" მწვრთნელი გივი ნოდია, „დინამოს" პრეზიდენტის რევაზ არველაძის თხოვნით, „დინამოში" გადავიდა. „თხოვნა მივიღე, „ლოკომოტივიდან" კი კმაყოფილი მივდივარ" — თქვა გივი ნოდიამ, გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე ახალი მთავარი მწვრთნელის თანაშემწეები იქნებიან.

რკინიგზელთა კლუბში კი უმალვე გამონახეს ნოდიას შემცვლელი — ცნობილი ფეხბურთელი კახი ცხადაძე, რომელიც ამავე გუნდში თამაშობდა, არცთუ დიდი ხნის წინათ კი ეროვნულ ნაკრებში ირიცხებოდა.

კახი ცხადაძემ განაცხადა, რომ ეს შეთავაზება მისთვის მოულოდნელი იყო და გაოგნებულიც კი დარჩა...

„ვიტ ჯორჯია" და მისი მეტოქე – „რიდი"

5

ლიბერტადორესის თასი

6

იტალიის თასი

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **უეფას** გადაწყვეტილებით, ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების 31 წლის კაპიტანი ფრანკ და ბური ერთი წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს. მიზეზი აკრძალული ნივთიერებების მოხმარებაა. სისხლი დოპინგკონტროლზე ამ ფეხბურთელს 15 მარტს აუღეს.


ფრანკ დე ბური





2

ზესტაფონის „მეტალურგი" უმაღლეს ლიგაში

4

● **რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცმა, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ლადისლავ ბოლონიმ დატოვა ნაკრები და პორტუგალიის „სპორტინგში" გადავიდა. ვარაუდობენ, რომ ნაკრებში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს ჰაჯი, რომელმაც დაამთავრა ფეხბურთის თამაში.

ბოლონი

ფეხბურთი

ფინეთი:
პიკი – როვანიემი 2-0;
პაკა – იოკერიტი 4-1;
კუოპიო – ვაასა 2-1;
ლაპტი – ჯაზი 2-2;
ზამპერე – ინტერი 3-1.


თეიმურაზ კაკულია

3

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

ᲛᲔᲛᲐᲕᲐᲚ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲛᲓᲔ 3 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲓᲐ 2 ᲗᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

SALT LAKE 2002

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ XIX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ 7 ᲗᲕᲔ ᲓᲐ 23 ᲓᲦᲔ ᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔᲑᲡ

8–24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 2002 Წ.

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ ● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲖᲚᲝᲚᲝᲓ ᲬᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ



რაპირა. ვაჟები: 1. ირაკლი ღაღანიძე, 2. ოლეგ ჩერნიშოვი, 3. ირაკლი გობეჯიშვილი (სამივე — თბილისი), გოჩა ჭიჭინაძე (ქუთაისი); ***რაპირა. ქალები:*** 1. ლელა ძნელაძე, 2. ნატო კობიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ნათია ჩინჩალაძე (ქუთაისი), ელენე საფარიძე (ბათუმი). ***დაშნა. ვაჟები:*** 1. ალექსანდრე ზახაშვილი, 2. ლაშა სოფრომაძე, 3. სერგო ხატიაშვილი, შალვა კოკოჩაშვილი (ყველა — თბილისი). ***ქალები:*** 1. ანა აბრამიშვილი, 2. ბელა მამარდაშვილი, 3. ნათია ჩუბინიძე, სოფიკო მარგველაშვილი (ყველა — ქუთაისი); ***ხმალი:*** 1. კახა მახარაძე, 2. ზურაბ იოსებიძე (ორივე — თბილისი), 3. ვალერი ინწკრიველი (აფხაზეთი), 4. იმედა გათენაძე (ბათუმი).

წარსულში ცნობილი მოფარიკავის მანანა დარასელიას ხსოვნის საპატივცემლოდ მისი თაობის ვეტერანმა ქალებმა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეჯიბრება ჩაატარეს. ადგილები ასე განაწილდა: 1. თეონა ძალუაშვილი, 2. ქეთინო გაჩეჩილაძე, 3. ირინა ფეიქრიშვილი. მონაწილეობდა 10 ვეტერანი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘ ● ᲥᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲠᲯᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝ

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძალოსნობის ისტორიაში მოსწავლეთა შორის ასეთი მასშტაბის ღონისძიება პირველად ჩატარდა. მონაწილე სპორტსმენთა და გუნდების რაოდენობა, ბოლო წლებთან შედარებით, სარეკორდო იყო (9 გუნდი, 47 მონაწილე). გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა. რაც მთავარია, აღინიშნა მაღალი შედეგები. მარტო ის რად ღირს, რომ 76 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა ზუგდიდელმა ყმაწვილმა თემურ ჩხაიძემ 132,5 კგ. აიტაცა, არა თუ გაიმეორა ევროპის იუნიორთა რეკორდი, არამედ 5 კგ-ით გააუმჯობესა იგი. (თუმცა შედეგი რეკორდად არ ჩაითვალა, რადგან ევროპის რეკორდის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ ევროპისა და უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებაზე). სასიამოვნო ფაქტია აგრეთვე საქართველოს ძალოსნობის გეოგრაფიის გაფართოება. მონაწილეობდნენ ისეთი რეგიონები, რომლებიც ადრე ძალოსნობაში არ ჩანდნენ, კერძოდ: მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, გურია, სვანეთი. მათ ისეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის გუნდს, რომ დედაქალაქი გუნდურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. აჭარის სპორტის ხელმძღვანელობას რომ მეტი ყურადღება გამოეჩინა და დახმარებოდა გუნდის ხელმძღვანელობას თბილისში ყველა ნიჭიერი ძალოსნის მოვლინებაში, თბილისის გუნდი შეიძლება მესამე ადგილზეც აღმოჩენილიყო, თავად აჭარის გუნდს კი პირველ ადგილისათვის ებრძოლა. თუმცა, სასიამოვნო სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ აჭარის მოსწავლეთა შემართება, რომელსაც ადრე კარგი ტრადიციები ჰქონდა ძალოსნობაში, დიდი ხანია არ ჩანდნენ. ტრადიციის აღორძინებაში დიდია მწვრთნელების მამა-შვილის რეზო და აბესალომ ბასილაიების დამსახურება. აბესალომ ბასილაიამ აღადგინა მამის მიერ თავის დროზე ჩამოყალიბებული ძალოსნობის სექცია, რომელიც ძირითადად დაბა ჩაქვის პირველი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული (დირექტორი გ. ნაკაშიძე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი მ. ბობოხიძე). არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ აღინიშნოს ჩაქვის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის, მაიორ რ. გვარიშვილის მხარდაჭერა, რომლის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ჩაქველი ძალოსნების ასე წარმატებული გამოსვლა.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, როს საქართველოს ბევრ რაიონში სპორტის ამ მეტად ხალხურ სახეობას, ყურადღება არ ექცევა. არადა, იგი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო და მისაწვდომი საშუალებაა.

შეჯიბრებამ გამოავლინა ახალგაზრდა, პერსპექტიული ძალოსნები, რომლებიც, ხვალინდელი ქართული ძალოსნობის იმედს წარმოადგენენ ესენია: აჭარიდან ნ. ჯინჭარაძე, ზ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ზ. დუმბაძე, დ. ბეჟანიძე, ი. თურმანიძე; იმერეთიდან: ა. მამიაშვილი, დ. კახიძე, ვ. ღონღაძე, ი. აბზიანიძე, ა. აბრამიშვილი, პ. გეგეშიძე, გ. დვალი, თ. ლომჯარია, ი. კვერნაძე; ზუგდიდიდან: თ. ჩხეიძე, ი. ჯალაღანია, ა. ქუხალავა; თბილისიდან: გ. სიდამონიძე, ზ. ჩხუბიანაშვილი, გ. მაჭავარიანი, ნ. ვაშაკიძე; კახეთიდან: პ. ჭეჟდლიშვილი, ა. სანომიანი, დ. ოსიპოვი; აფხაზეთიდან: ბ. გოგია და სხვ.

მაღლობას იმსახურებენ მოზარდ ძალოსნებთან მომუშავე მწვრთნელები, რომლებიც ამ გაჭირვებულ პირობებში უანგაროდ, ხშირად ხელფასის მიუღებლად შრომობენ და ზრდიან შესანიშნავ ახალგაზრდა სპორტსმენებს. მათ შორისაა: თბილისელი გ. ფარულავა, ზ. ანთაური, ა. გახოკიძე, ზუგდიდელი გ. ჩიქოვანი, ბ. ჭიჭინაძე, ჯ. მამფორია, საჩხერელი გ. დვალი, რუსთავიდან ვ. ლობჟანიძე, ქუთაისიდან მ. ლომთაძე, გ. ცირეკიძე და სხვ.



ახლა გაგაცნ-ებთ შეჯიბ-რებაში გამარჯ-ვებულებს და პრიზიორებს.

46 კგ: 1. გიორგი სიდამონიძე (თბ), 2. ალეკო მამიაშვილი (იმერ), 3. გურამ გოგრაჭაძე (აჭ.) **50 კგ:** 1. ნუგზარ ჯინჭარაძე (აჭ), 2. დანია ოსიპოვი (თბ), 3. ილიკო ჯალაღონია (სამივე — ზ. სვ.); **54 კგ:** 1. ზაზა აბულაძე (აჭ), 2. ავთო ქუხილავა (სამეგ.-ზ.სვ), 3. დავით კახიძე (იმერ); **59 კგ:** 1. ზურაბ ჩხუბიანაშვილი (თბ), 2. პავლე მჭედლიშვილი (კახ), 3. ვაჟა ღონღაძე (იმერ); **64 კგ:** 1. იაგო აბზიანიძე, 2. ალეკო აბრამიშვილი (ორივე — იმერ), 3. კახა კეკელიძე (აჭ); **70 კგ:** 1. პაატა გეგეშიძე (იმერ), — ზაზა დუმბაძე (აჭ), 3. გიორგი დვალი (იმერ); **76 კგ:** 1. თემური ჩხეიძე (სამეგ.-ზ. სვ), 3. ირაკლი თურმანიძე (აჭ), 2. თემური ლომჯარია (იმერეთ); **83 კგ:** 1. ელდარ ზოიძე (აჭ.), 2. ირაკლი კვერნაძე (იმერ), 3. დავით ბეჟანიძე (აჭ); **+83 კგ:** 1. ბესიკ გოგია (აფხ), 2. გიორგი მაჭავარიანი, 3. ნუკრი ვაშაკიძე (ორივე — თბ).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. იმერეთი — 132 ქულა, 2. თბილისი — 128, 3. აჭარა — 108, 4. მცხეთა — მთიანეთი — 58,5, სამეგრელო — სვანეთი 48,6, კახეთი — 28, აფხაზეთი — 20, 8. ქვემო ქართლი — 14, 9. გურია — 6.

შეჯიბრება ჩატარდა მაღალ დონეზე, თუმცა იყო სიძნელეები, მომავალში ფედერაციამ უნდა გაითვალისწინოს.

თუ მოსწავლეთა სპორტული თამაშები ტრადიციული გახდება იგი ნამდვილად ხელს შეუწყობს საქართველოში ძალოსნობის მასობრივად განვითარებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

ᲖᲝᲗᲐ ᲑᲣᲐᲫᲔ,
ძალოსნობის ფედერაციის
გენერალური მდივანი.

ᲠᲐᲘᲜᲓᲘ ᲙᲔᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ

გაიმართა პირველი ამხანაგური მატჩი საქართველოსა და სომხეთის კეტბურთელთა შორის. საქართველოდან მონაწილეობდა ქ. თბილისის „რაინდთა“ საავტორო სკოლის 10-12 წლის ბავშვთა გუნდი. სომხეთიდან ქ. ვანაძორის (ყოფ. კიროვაკანი) „ვარმაშის“ 12-14 წლის მოზარდები. მატჩი ჩატარდა თბილისის გიორგი მერკვილაძის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის მოედანზე. ანგარიშში თავიდან უფროსი ასაკის სტუმრები დაწინაურდნენ 1-0. შემდეგ მასპინძლებმა ინიციატივა აიღეს და თამაში თავის სასარგებლოდ 14-2 დაამთავრეს. ორივე გუნდის ხელმძღვანელებმა ნუგზარ კაპანაძემ და ჰაიკ ეფრიანმა აღნიშნეს, რომ ასეთი შეხვედრები სასარგებლოა ორივე მხარისათვის, და მომავალში კვლავ გაგრძელდება ორივე ქალაქში. ამასთან ერევანში აშენდება სპეციალიზებული მოედნები და „კავკასიური ლიგის“ მატჩებიც ჩატარდება.

ᲖᲘᲐ ᲫᲔᲛᲝᲙᲚᲘᲫᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ

ბათუმში მაგიდის ჩოგბურთის ისტორია უკვე ნახევარ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის მანძილზე შავზღვისპირელ სპორტსმენებს არაერთი გამარჯვება უზეიმიათ სხვადასხვა მასშტაბის ტურნირში.

ამას წინათ, რუსეთის ქალაქ ჩებოქსარში ჩატარდა დიდი შესარჩევი ტურნირი, სადაც ბათუმელი ოსტატი ნარინე ეტარიანი გამოდიოდა. 24 საუკეთესო სპორტსმენთა შორის მან მეექვსე შედეგი აჩვენა, რაც კარგ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. რუსეთის გუნდი ევროპის შარშანდელი ჩემპიონია და მით უფრო ძნელი იყო მოხვედრა ექვსეულში.

ევროპის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თაოსნობით, როგორც ცნობილია, ბათუმში შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცენტრი, სადაც წელიწადში ოთხჯერ გაივლიან საწვრთნელ შეკრებას ამ ქვეყნების სპორტსმენები ევროპის ფედერაციის ხარჯზე. ამასთან გადაწყდა, რომ უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენები სტაჟირებას გაივლიდნენ ევროპის საუკეთესო ბაზებზე.

პირველ ასეთ სტაჟირებაზე უკვე იმყოფებოდნენ ბათუმელი თეონა მაისურაძე და გიორგი დოლიძე, სადაც 12 ქვეყნის საუკეთესო ოსტატებთან ვარჯიშობდნენ. იქვე მოეწყო ტურნირი, 36 სპორტსმენის მონაწილეობით. გოგონათა ერთეულ თანრიგში თეონა მაისურაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ნაკვეთი ბაკურიანში (1500 კვმ). სასწრაფოდ, იაფად. დარეკეთ 68-92-29.

ᲛᲝᲒᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ, ᲥᲔᲓᲔᲑᲝ!

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

ერთხელ, როდესაც გაზეთ „თბილისში“ ტურისტული გვერდის გამოშვებას ვხელმძღვანელობდი, მოხდა ისე, რომ მასალა შემომაკლდა და დაახლოებით ორსტროფიანი ლექსის ოდენი ადგილი დამრჩა. ფოტოსურათის ძებნის დრო აღარ იყო. სასწრაფოდ დაწერე ეჭსპრომტი ტურიზმის სიკეთეზე და იგი ჩვენი ჯგუფის სახელოვან წევრს პროფესორ მიტო ნორაკიძეს მივუძღვენი. ლექსის ტექსტი მას ტელეფონით შევუთანხმე. ბატონმა მიტომ მცირე დუმილის შემდეგ მითხრა: ლექსი მომეწონა, მაგრამ ჩემდამი მიძღვნა მოშალე, მას უბრალოდ „ტურისტული“ უწოდე, ასე სჯობსო. იმავე საღამოს „თბილისის“ მკითხველმა მიიღო ეს ლექსი:

„კარავთან პატარა მდინარე ლიკლიკებს,
მთები აზიდულან ცათამდის,
ხვალ დილით ხელახლა გაგყვები
ბილიკებს, — რა დამღლის!

იმ კვირას რაც შემხვდა საწყენი, საჯაფი, — ტანთ ძველმანებივით გავიხდი,
და საქმევ, მაშინ რომ ვერაფრით
დაგჯაბნე, — დამიხვდი!“

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲪᲘᲑᲐᲫᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲜᲘᲐ

ჩვენი ტურისტული ჯგუფის უმრავლესობა პაპიროსს არ ეწეოდა. მაგრამ ბევრ ჩვენგანს იგი მაინც დაჰქონდა თან. ეს გარემოება თავიდან ასეთმა ფაქტმა განაპირობა: ჩვენმა ჯგუფმა ტაბარუკის აღმართი აათავა და ის იყო, ხეკორძულას ხეობით ძეგვისკენ უნდა დაშვებულიყავით, რომ მეზობელი სერიდან მწყემსის გაბმული ძახილი მოგვესმა. სირბილით აქოშინებული, გახარბული მწყემსი მოგვესალმა და სიგარეტი გვთხოვა — ამ დილით „ბინებში“ დამრჩა და ლამის გავგიჟდე კაცო.

გავოგნდი. მე ვიცოდი, რომ ჩვენი ჯგუფის არცერთი წევრი არ ეწეოდა. ის იყო ბოდიშის მოხდასა და უარის თქმას ვაპირებდი, რომ ერთმა ქალბატონმა ჩანთიდან სიგარეტის დასტა ამოიღო და მწყემსს გაუწოდა, შენთვის მიჩუქნია, მე კი ვეცდები ეს შემთხვევა ჩემთვისაც გაკვეთილად დარჩეს და, საერთოდ, დავემშვიდობო ამ მავნე ჩვევასო.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №43-44. გაგრძელება იქნება.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲮᲝᲑᲘᲓᲐᲜ

ჩატარდა ხობის რაიონის ახალგაზრდულ-სპორტული თამაშები. შეჯიბრების სტარტზე 400-მდე მონაწილე გამოვიდა. პროგრამაში იყო, მძლეოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, მკლავჭიდი და ქართული ჭიდაობა.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ,
ხობის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

აწმყო შოგბილი. წარსულისაგან...

თეიმურაზ კაკულია

თეიმურაზ კაკულიას სახელთან არის დაკავშირებული ქართული ჩოგბურთის არაერთი ბრწყინვალე ფურცელი. ბრწყინვალე სტილისტი, ... გვევლინება გამგრძელებლად იმ ტრადიციებისა, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს მისმა წინამორბედებმა პლეხანოვის კორტებიდან – იან ჰომერმა, ედუარდ ნიგრებეცკიმ, არჩილ მდივანმა და სხვებმა

შორეულ 1962 წელს ქალაქის ჩემპიონატზე უნდა შეეხვედროდი თეიმურაზ კაკულიას – ყმაწვილს პლეხანოვის კორტებიდან. იმ წლებში ბავშვებს იშვიათად ათამაშებდნენ უფროსთა ტურნირებში, ამის მისაღწევად განსაკუთრებით უნდა გამოგეჩინა თავი. ამ შეხვედრამდე თეიმურაზი არასოდეს მენახა. მხოლოდ მსმენოდა, რომ 15 წლის ბიჭის კვალობაზე ის ძალიან კარგად თამაშობდა.

და აი, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტების პირველ მოედანზე დავიწყეთ მოთელვა. მაშინვე მივაქციე ყურადღება თუ რა თავისუფლად, ძალდაუტანებლად ასრულებდა თეიმურაზი სხვადასხვა ტექნიკურ ილეთს. ეს კლასიკური, ლამაზი სტილი თამაშისა, პრაქტიკულად უცვლელი დარჩა მისი კარიერის ბოლომდე. ახლა, მრავალი წლების შემდეგ, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ეს სტილი დამახასიათებელი იყო ქართული ჩოგბურთის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის. ასე კომბინაციურად, აქტიურ მოქმედებებზე აქცენტირებით თამაშობდნენ ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი, ვანო ელერდაშვილი, გივი კოკაია, ვიქტორ ურაევსკი, ალექსანდრე მეტრეველი და სხვები.



თეიმურაზ კაკულია (მარცხნივ) და ვლადიმერ გოგლიძე

15 წლის თეიმურაზმა თითქმის ყველაფრის გაკეთება იცოდა კორტზე და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ იგი შემიძლია შევადარო მხოლოდ ჩემს რეაქციას ლეგენდარულ გალინა ბაკშეევას თამაშზე, როცა იგი პირველად ვნახე კორტზე.

თეიმურაზის ოსტატობა სწრაფად იზრდებოდა. 1965 წელს იგი უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონია იუნიორთა შორის, ხოლო 1966 წელს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში შეპყავთ. ამ პერიოდში მას ავარჯიშებდა სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმირ სერებრენიკოვი (1912-1967). მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი წვლილი თეიმურაზის დაოსტატებაში შეიტანა შესანიშნავმა ქართველმა ჩოგბურთელმა, მისმა მეზობელმა ალექსი ვერულავამ (1936-2000).

თეიმურაზი შეპყავთ საბჭოთა კავშირის ნაკრებში და იქედან იწყება მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა ნაკრების მაშინდელ მწვრთნელთან – სერგეი ანდრეევთან (1923-1995), რომელიც მრავალ წელს გასტანს. თეიმურაზი წარმატებით გამოდის არაერთ საერთაშორისო ტურნირში, ხოლო 1968 წელს მონაწილეობს საჩვენებელ თამაშებში, რომლებიც გაიმართა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ფარგლებში. მომდევნო წლებში თეიმურაზის თამაშში თავს იჩენს ერთგვარი კრიზისი, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლასთანაა დაკავშირებული. სამთო ფაკულტეტის სტუდენტი რაღაც პერიოდში აღმოჩნდა დილემის წინაშე: ბოლომდე გაპყვეს მამის კვალს და გახდეს პროფესიონალი ინჟინერი, თუ ჩოგბურთის კარიერაზე გაამახვილოს ყურადღება. სპორტის სიყვარულმა სძლია და 1972 წელს ჩვენს წინაშე წარსდგა ახალი თეიმურაზ კაკულია – ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული, აღჭურვილი ბრწყინვალე ტექნიკით და, რაც ყველაზე მთავარია, ფსიქოლოგიურად მომზადებული რთული ამოცანების გადასაწყვეტად.

დაიწყო ოქროს ხანა ქართულ ჩოგბურთში. წლების განმავლობაში თეიმურაზ კაკულია ალექსანდრე მეტრეველთან ერთად უმაღლეს საერთაშორისო დონეზე წარმოადგენდა ქართულ სპორტს. 1972 წელს თეიმურაზი ხდება საბჭოთა კავშირის მეორე ჩოგანი. 1973 წელს უნივერსიადის ჩემპიონი, ხოლო 1976 წელს ევროპის ჩემპიონი – ამარცხებს რა ფინალში თავად ალექსანდრე მეტრეველს. სხვადასხვა წლებში იგი წარმატებით გამოდის პრესტიჟულ ტურნირებში. აგრეთვე ავსტრალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს ღია ჩემპიონატებში და ყველგან მერვედფინალამდე აღწევს. ა. მეტრეველთან ერთად თეიმურაზი რამდენჯერმე ხდება სსრკ-ს ჩემპიონი წყვილთა თანრიგში. 1977 წელს თეიმურაზს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ა. მეტრეველთან ერთად იგი ღირსეულად გამოდის „დევისის თასის" გათამაშებაში. მოპოვებული ჰქონდა გამარჯვებები საფრანგეთის, ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან. განსაკუთრებით წარმატებული იყო ნაკრებისათვის 1976 წელი. ჩასატარებული რჩებოდა მხოლოდ ორი მატჩი. ნახევარფინალური – ჩილეს ნაკრებთან და გამარჯვების შემთხვევაში იტალიის გუნდთან – თბილისის კორტებზე. სამწუხაროდ, ჩილეს ნაკრებთან თამაშის წინ, სადღაც იყო მიღებული გადაწყვეტილება, უარი ეთქვათ შეხვედრაზე გენერალ პინოჩეტის რეჟიმის წარმომადგენლებთან. ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება მიიღეს სსრკ-ს პარტიულმა ხელმძღვანელებმა და მეტად უცნაურად გამოიყურებოდა თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩაატარეს შეხვედრა არა მარტო ჩილეს, არამედ საბერძნეთის ნაკრებთანაც (საბერძნეთს მაშინ „შავი პოლკოვნიკების" ხუნტა მართავდა). შეიძლება ვიღაცას მაშინ, სწორედ ნაკრები გუნდის შემადგენლობა არ მოსდიოდა თვალში.

წლების განმავლობაში შესაძლებლობა მომეცა რამოდენიმე მატჩი მეთამაშა თეიმურაზთან (დღემდე ვამაყობ მასთან გამარჯვებით 1969 წელს) და მაყურებლის ადგილიდანაც მედევნებინა თვალყური მისი თამაშისათვის. განსაკუთრებით დამამახსოვრდა სამი შეხვედრა – ფრანგ პატრიკ პრუაზისთან 1973 წელს „დევისის თასის" გათამაშებაში, 1974 წელს ჩეხოსლოვაკიელ ფრანტიშეკ პალასთან და 1976 წელს ვადიმ ბორისოვთან სსრკ-ს თასზე. პრუაზისთან შეხვედრამდე გუნდური ანგარიში იყო 2:2 და ყველაფერს ეს თამაში წყვეტდა. მატჩი მოსკოვში ტარდებოდა და დამსწრეთაგან აღარავის ჰქონდა სსრკ-ს ნაკრების გამარჯვების იმედი. მხოლოდ თეიმურაზ კაკულია არ იზიანებდა საერთო აზრს. მან ეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და გაანადგურა სახელოვანი მეტოქე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – 6:3, 6:3, 6:4 (პრუაზი იყო 1973 წლის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალისტი). თეიმურაზმა, როგორც კომბინაციური სტილის ჩოგბურთელმა, თამაში ააგო სწრაფ და უწყვეტ შეტევაზე. ასეთი ტაქტიკით მან სრულიად მოსპო პრუაზის დაცვა. ანალოგიური სიტუაცია განმეორდა 1974 წელს დონეცკში, სადაც სსრკ-ს ნაკრები ჩეხოსლოვაკიის გუნდს ხვდებოდა. ანგარიში კვლავ 2:2 იყო და მატჩის ბედის თეიმურაზ კაკულიას და ფრანტიშეკ პალას შეხვედრაში წყდებოდა. მანამდე ა. მეტრეველმა ხუთსაათიან პაექრობაში შეძლო იან კოდეშის დამარცხება (მე-5 გადამწყვეტ პარტიაში იგი 1:4 აგებდა) და გუნდური ანგარიშის გათანაბრება. თეიმურაზმა იძალა და ურთულეს 5 სეტიან შეხვედრაში გაიმარჯვა – 6:3, 4:6, 6:4, 2:6, 6:4. ეს მატჩი ორ დღეს გაგრძელდა, ვინაიდან სიბნელის გამო გადაიდო. არსებობს ფანტასტიური ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია ამ შეხვედრის ფინალი.

და ბოლოს, მატჩი ვადიმ ბორისოვთან თბილისში. თამაშის წინ შემთხვევით ყური მოვკარი მოსკოველთა მწვრთნელის სლავა მირზას ლაპარაკს. განიხილავდა რა მომავალ შეხვედრას, იგი აღნიშნავდა, რომ ვადიმი შესანიშნავ ფორმაშია, განიცდის აღმავლობას. თეიმურაზი კი დაღლილი ჩანს და ეტყობა ფარ-ხმალის დაყრა მოუწევსო. სანახაობა განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. სულ რაღაც ერთ საათში თეიმურაზმა სძლია მეტოქეს 6:0, 6:0, 6:0. ზემოხსენებულ სამივე შეხვედრაში თეიმურაზმა გამოავლინა საუკეთესო თვისებები – ბრწყინვალე ტექნიკა, შესანიშნავი ფიზიკური მომზადება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანობა.

დასასრულ, მინდა მოვიყვანო ჩვენი შესანიშნავი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის სიტყვები: „კაკულიასთან თამაში არ იყო ადვილი. კორტზე მას თითქმის ყველაფერი ეხერხებოდა, მისნაირ ჩოგბურთელს უნივერსალებს უწოდებენ. მის თამაშს განასხვავებდა მაღალი ტექნიკა, მრავალფეროვანი ტაქტიკა და დიდი ნებისყოფა. მას შეეძლო სწრაფად გამოეცნო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და დროულად მიეღო კონტრზომები. გარდა ერთეულთა თანრიგისა, თეიმურაზი ბრწყინვალედ გამოდიოდა წყვილთა შეჯიბრებებში, სადაც მხოლოდ პარტნიორობას კი არ სწევდა, არამედ შეეძლო აეღო თამაში თავის თავზე. ეს კი ყველას როდი ძალუძს".

1980 წელს თეიმურაზმა დაასრულა თავისი სპორტული კარიერა და მთლიანად გადაერთო საწვრთნელ საქმიანობაზე. 1984 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. იმაში, რომ ლეილა მესხი მსოფლიო დონის ჩოგბურთელი გახდა, დიდი წვლილი მიუძღვის თეიმურაზ კაკულიას, რომელიც წლების განმავლობაში მისი პირადი მწვრთნელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალი წელი გავიდა, სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენს შეხვედრებს კორტზე და მის გარეთ, როცა ჩვენს შორის მეგობრული დამოკიდებულება სუფევდა. ვუსურვებ შესანიშნავ ვეტერან სპორტსმენს წარმატებებს საქმიანობაში და რაც მთავარია, ჯანმრთელობას.

ვლადიმერ გოგლიძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ფინალის მე-4 შეხვედრა

„ფილადელფია" — „ლეიკერსი" 86:100

აივერსონი (35), მუტომბო (19-9 მოხსნა), სნოუ (11) — ოზილი (34-14 მოხსნა), ბრაიანტი (19-10 მოხსნა - 9 გადაცემა), ფიშერი (10).

აქ აშკარა იყო „ლეიკერსის" უპირატესობა. ახლა მას მხოლოდ ერთი მოგებაღა დარჩა თასის მოსაპოვებლად.

მიუხედავად დაგროვილი 35 ქულისა, ალან აივერსონი არ გამოირჩეოდა ზუსტი სროლით — 30 ტყორცნიდან მიზანს მიაღწია მხოლო 12-მა.

აივერსონისაგან განსხვავებით, შეუდარებელი იყო შაკილ ო,ნილი. „ფილადელფიის" მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა განაცხადა: „შაკი — ეს სუპერ მოთამაშეა". აღფრთოვანებას ვერ მალავდა „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯექსონიც: „მადლობა შაკის, რომელმაც სიტყვა შეასრულა და ითამაშა შეუდარებლად".

ამრიგად, სერიაში ანგარიში გახდა 3-1 „ლეიკერსის" სასარგებლოდ.

ცურვა

პოპოვმა პირველად წააგო

პირველად ამ სეზონში, „მარე ნოსტრუმის" ტურნირზე, რომელიც მონაკოში მიმდინარეობს, ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა ალექსანდრე პოპოვმა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მას აჯობა შვედმა ლარს ფროლანდერმა.

გაგაცნობთ ზოგიერთ გამარჯვებულთა შედეგებს:

400 მ თავისუფალი სტილით გაიმარჯვა იან ტორპმა (ავსტრალია) — 3.41,71
200 მ ბატერფლაი — დენის სილანტიევი (უკრაინა) — 1.47,01
200 მ ბრასი — ჯიმი პაიპერი (ავსტრალია) — 2.12,41
200 მ. კომპლექსური — ბრაიან ჯონსი (კანადა) — 2.03,11

ჩოგბურთი

„დიდი სლემის" ბურნირების „განთესვა" – ორმაგდება

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება გაორმაგოს „განთესილ" ჩოგბურთელთა რაოდენობა „დიდი სლემის" ტურნირებში. ამიერიდან, „დიდი სლემის" 4 ტურნირში (ავსტრალიის, საფრანგეთის, უიმბლდონის და აშშ) განთესილი იქნება არა 16, არამედ 32 ჩოგბურთელი. გაორმაგებული განთესვის სისტემა ძალაში შევა უიმბლდონის ტურნირიდან.

მძლეოსნობა

ბეილის აჯარიმებენ

ოდესღაც მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანი, 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში დონოვან ბეილი, პროვინტა ონტარიოს სასამართლომ დააჯარიმა 975 კანადური დოლარით (640 აშშ დოლარი) სიჩქარის გადაჭარბების გამო. შარშან, ნოემბერში 33 წლის ბეილიმ თავისი „მერსედესით" გაანავითარა 200 კმ საათში გზაზე, სადაც დასაშვები მაქსიმალური სიჩქარეა 100 კმ/სთ-ში. თვითონ ბეილი სასამართლოს არ დასწრებია.



მერლინ ოტტი მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს

იამაიკელი მძლეოსანი მერლინ ოტი არ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში, ედმონტონში.

41 წლის მორბენალი უკვე მეორე მსოფლიო ჩემპიონატს გააცდენს. წინა ჩემპიონატი, რომელიც სევილიაში ჩატარდა ოტიმ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

ველოსპორტი

ჟანი ლონგოს კიდევ ერთი რეკორდი



განთქმულმა ფრანგმა ველორმბოლმა ჟანი ლონგომ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. მრავალდღიანი ველოგარბენში „Hewlettpackard", რომელიც აშშ-ს გზებზე ტარდება, პირველ ეტაპზე (სიგრძე 112 კმ), ლონგომ მანძილი 2 საათსა, 40 წუთსა და 25 წამში დაფარა, რაც 5,51 უკეთესია ანე მილუორდის წინა მიღწევაზე.

რბოლა 13-ეტაპიანია.

ქართული ფეხბურთი

უეფამ ფედერაცია შეგვიმოწმა

სამდღიანი, ხანმოკლე ვიზიტის მიუხედავად, უეფას ჩინოსნებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კომპლექსურად შეამოწმეს. სტუმრები გაეცნენ ფედერაციის საერთო სტრუქტურას და ორგანიზაციას, ნორმატიულ დოკუმენტაციას, კომიტეტებისა და გენერალური მდივნის მუშაობას, ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმას, მის ურთიერთობას სახელმწიფოსთან. ფედერაციის ფინანსებს, საბუღალტრო აღრიცხვას, მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებს, შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციას, მთლიანად მთელი ფედერაციის ინფრასტრუქტურას.

ჯგუფის ხელმძღვანელმა უეფას დახმარების პროგრამების უფროსმა მენეჯერმა, ერიხ ეპლემ, რომელიც არაერთხელ ჩამოსულა საქართველოში და ჩინებულად იცნობს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის მუშაობას, აგრეთვე უეფას ამავე ბიუროს მენეჯერმა ბრუნეო ვოლფისბერგმა და აუდიტორმა, აუდიტორული ფირმა „ერნესტ ენდ იანგის“ წარმომადგენელმა ლენკა ტუჩეკმა, პრესკონფერენციაზე დადებითად შეაფასეს სფფ-ს აპარატის მუშაობა. უეფას დელეგაცია შემოწმების სრულ შედეგებს ოქტომბერში გაგვაცნობს და შემდგომი მუშაობის რეკომენდაციებს წარმოგვიდგენს.

შეხვედრაზე თანამშრომლობის სამომავლო გეგმებიც დაისახა.

სტუმრები უეფადან და სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია „ლოკომოტივ-ის“ ახალ სტადიონზე (ელდარ მალხაზიშვილის ფოტო)

გადაბრალებასაც ნიჭი უნდა, ამის დამტკიცება სფფ-ს აღმასკომის

(პირველი გვერდიდან)

სხდომაზე ყველამ შეძლო, “გზა ხსნისა“ კი ბურუსში დარჩა

ნია, რომ საფეხბურთო ქვეყანა ვართ, განსაკუთრებით ნაკრების დონეზე?

ვისი იდეა იყო ორი მწვრთნელის დანიშვნა?

რეზო ძოძუაშვილმა ბევრი კითხვა დასვა, ზოგს თავად უპასუხა, ზოგს სხვებმა, ზოგიც უპასუხოდ დარჩა. მაგალითად, ყველასთვის აქამდე გასაიდუმლოებულ კითხვას, თუ ვის ეკუთვნოდა ეროვნულ ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნის იდეა, დავით ყიფიანმა მოჰფინა ნათელი – ეს მისი პირადი იდეა ყოფილა და სფფ-ს ხელმძღვანელებს ერთი შეხედვით ამ მომხიბლავი წინადადების მხარდაჭერის გარდა, არაფერი დარჩენოდათ. ყიფიანი ახლა აღიარებს, რომ მისი იდეა, მისი პირადი შეცდომა იყო.

ჩვენ ყველაფერში შეჩვეული ვართ სიბრძნის გადმოფრქვევას, როცა საქმე უკვე გაფუჭდება და საშველი აღარ არის. მართალი იყვნენ აღმასკომის წევრები და ჟურნალისტები, როცა ძოძუაშვილს ჰკითხეს თუ თავიდანვე რატომ დათანხმდა ყიფიანის შეთავაზებას. რეზო ამ ფაქტს ასე ხსნის – ჯერ: „ეს იყო შანსი ნაკრებამდე მიმეღწია“, მერე: ნაკრებში ჩემი მოსვლით სფფ-ს შეცდომები და საქმიანობა საქვეყნოდ გამოაშკარავდა“.

რაც შეეხება სფფ-ს, არა გვგონია, ქართული ფეხბურთის სათავეში მოსულ ახალ ხელმძღვანელებს, ყიფიანის შეთავაზება დაეხვიათ ხელზე და ამით საკუთარი პასუხისმგებლობა აეცილებინათ. ეს ხომ აბსურდია. ვის უნდა ეს! პირიქით! ვინც თვალს ადევნებს სფფ-ს საქმიანობას, იცის, რომ ასეთი თანადგომა და ყურადღება ეროვნულ ნაკრებს, არასოდეს ჰქონია. დავუშვათ ფედერაცია არ დათანხმებოდა ყიფიანს, მერე რა, დღეს უკეთესი შედეგი გვექნებოდა?

ვერა და ვერ მოვიშორეთ თავიდან სეირის მოყვარული ხალხის იმიჯი. ყოველთვის გამოსავალს ვიღაცის გადადგომაში ვეძებთ. სფფ-ს ხელმძღვანელობის მისამართითაც გაისმის გადადგომის მოწოდება. ჟორდანიამ თავად განაცხადა, რომ არ იხსნის პასუხისმგებლობას და მზად იყო გადამდგარიყო კიდეც, მაგრამ არა გვგონია, ეს საქმეს სასიკეთოდ წაადგებოდა, მით უფრო ახლა, როცა ქართულ ფეხბურთში, უეფას თანადგომით, ბევრი სასიკეთო ცვლილებები ხორციელდება და მოღონიერების პროცესი მიმდინარეობს. ამის დაუნახაობაც არ იქნება.

„მიმიშვით ღუმელთან“, ანუ „მაცალეთ ჩავაბარო სამი მაბჩი და ნახეთ, ვინ ვარ და რა შემიძლია!“

– ასეთი იყო რევაზ ძოძუაშვილის კატეგორიული მოთხოვნა აღმასკომის სხდომაზე. მას შემდეგ, რაც ნაკრების მწვრთნელობიდან თავისი ნებით წასვლა გადაწყვიტა, აშკარა გახდა, რომ დავით ყიფიანი საკუთარ თავზე იღებდა ნაკრების კრახზე პასუხისმგებლობას და ძოძუაშვილის საწინააღმდეგოდ სიტყვა არ დასცდენია. პირიქით, ყიფიანმაც ურჩია აღმასკომს: „დატოვეთ ძოძუაშვილი. რა, ეს კაცი დანგრევას ხომ არ აპირებს, ავაშენებო იძახის და აცალეთ!“.

სფფ-ს პოზიცია, მისი პრეზიდენტის ჩათვლით, გამოკვეთილი იყო: „ყიფიანთან ერთად ძოძუაშვილიც უნდა წავიდეს!“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, და იგრძნობოდა კიდეც, რომ აღმასკომის გადაწყვეტილება თუ სხვაგვარი იქნებოდა, ჟორდანია მაინც თავისას გაიტანდა. აღმასკომი თავისთავად მივიდა ერთ დასკვნამდე: „ძოძუაშვილიც უნდა წავიდეს!“ ცხადია, აღმასკომის წევრთა ამ ერთსულოვნებას თავად ძოძუაშვილის ბოლო სიტყვებმა შეუწყო ხელი, რომელიც წერილის დასაწყისში უკვე დავაფიქსირეთ.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ძოძუაშვილი ლაპარაკობდა აღმასკომის წევრებისა და ჟურნალისტების წინაშე, აშკარად იგრძნობოდა, რომ იგი თავს დამნაშავედ არ გრძნობდა, ამტკიცებდა, რომ მისი პროფესიული ღირსება შეილახა, რის სარეაბილიტაციოდ ნაკრებში კვლავ სურდა დარჩენა.

ზოგიერთმა, მკვახე გამოსვლების გამო, ძოძუაშვილს ინტელექტი დაუწუნა და მისი ნაკრებიდან წასვლის ერთი მიზეზი თუნდაც ეს უნდა ყოფილიყო. ვთქვით და გავიმეორებთ: ინტელექტი კარგი რამ არის, მაგრამ პროფესია არ არის. ინტელექტი ან აქვს კაცს, ან არ აქვს. პროფესია, ვთქვათ, იგივე მწვრთნელობაა და, რა ვქნათ, თუ ერთი დაბალია, მეორე მაღალი კონკრეტულ პიროვნებაში? ცხადია, არავინ დავობს იმაზე, რომ ინტელექტი და პროფესიის შეხამება, ჩინებულია. საპირისპიროდ ვიტყვით: განა ვინმეს მოუბრუნდება ენა დავით ყიფიანზე თქვას, ინტელექტი არ აქვსო? ისიც ხომ მუშაობდა ნაკრებში ძოძუაშვილთან ერთად?

პატრიოტიზმის დეფიციტი?

სერიოზულ ნაკრებ გუნდებში, პატრიოტიზმზე არ ლაპარაკობენ. რაც ისედაც გასაგებია და ერის გონებაშია გამჯდარი, აფიშირება არ სჭირდება სისტემატური დეკლარირებით, ამ სათუთ თვისებას მიზანმიმართულად ვაუფასურებთ და სუფრის დონემდე დ. ვიყვანეთ, სადაც, რაც მართალია, მართალია, ძალიან მაგრები ვართ, იმდენად მაგრები, რომ უცხოელებსაც კი ვაოცებთ და სამშობლოს პატრიოტი ხალხი ვგონვართ (უბრალო ხალხს არ ვგულისხმობთ).

მოკლედ, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს არაპატრიოტიზმშიც სდებენ ბრალს. ახლა მოდით, კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: იმათგან ვისაც დღეს საქმით ამის დამტკიცების შესაძლებლობა აქვს, ვინაა პატრიოტი საქართველოში, რომ მაინცდამაინც ფეხბურთელი იყოს? მით უფრო თუ ფეხბურთი მათი საარსებო წყაროა და ფეხი რომ მოიტეხოს, თავისი ქვეყანა მკურნალობის ხარჯებსაც არ გაიღებს. ანდა, რა პატრიოტიზმი შეიძლება მოეთხოვოს ფეხბურთელს, რომლის ოჯახის წევრს მისივე სამშობლოში გაიტაცებენ ფულის გამოძალვის მიზნით და არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ასეთი უბედურება თავს შეიძლება ნებისმიერს არ დაატყდეს?

მოდით, მაღალფარდოვანი სიტყვა პატრიოტიზმიდან, უბრალოდ, პიროვნების შეგნებამდე დავიდეთ. ეს სხვა საქმეა. არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს, როცა ფეხბურთელი განაცხადებს, რომ იგი ნაკრებში გამოვა იმ შემთხვევაში, თუ მის ძმასაც ათამაშებენ. ანდა, როცა პირადი განაწყენების გამო, ოთხი ფეხბურთელი უარს აცხადებს ნაკრებში გამოსვლაზე. გასდით და რას იზამ! კარგად თქვა დათო ყიფიანმა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ შენზე მდიდარი კაცი ძნელია შენს ნებაზე დაიყოლიო“. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

მაშ რა ვქნათ?

მწვრთნელთა ცვლა ჩვენს ეროვნულ ნაკრებში, არასდროს ყოფილა პანაცეა და, ვფიქრობთ, სასურველ შედეგამდე ვრც ამჯერად მიგვიყვანს. სფფ-ს ყველა თავგამოდება კვლავ ამაო იქნება, უახლოეს წლებში მაინც. არ შეიძლება ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩვენ ვართ, თავდადებული გუნდი ჰყავდეს. მიზეზებზე ნაწილობრივ უკვე ითქვა, სხვაც ბევრი რამ არის და ყველაფერი კომპლექსურად გადასაწყვეტია. თავად ცხოვრებამ უნდა გარდაქმნას მოთამაშეთა ფსიქოლოგია, შეგნება. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, მერე თავისთავად მოვა. მართალია, ფეხბურთელთა ამ თაობამ ხელიდან გაუშვა კარგი შანსი, მაგრამ ქართული ფეხბურთი ცოცხლობს და ვითარდება, თაობები მოვა. მთავარია, ქვეყანა დალაგდეს და მოღონიერდეს.

სფფ-ს აღმასკომი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ახალი მწვრთნელის შერჩევა-დანიშვნა გადაიდო, ალბათ დიდი ხნით არა. თუ ვინ ჩაუდგება ნაკრებს სათავეში – შინაური თუ მოწვეული სპეციალისტი, მაქსიმუმ ერთ თვეში გახდება ცნობილი.

არადა, არ არის ფეხბურთი, არ ჩანს ქართული სპორტი

ესეც რეალობაა, სპორტის სხვა სახეობებში თუნდაც თავსაყრელი წარმატებები მოიპოვო, ფეხბურთის კრახის ფონზე, ყველაფერი უფერულდება. სპორტის მთელ რიგ სახეობებში კი, მათ შორის სათამაშო სახეობებში, პროგრესი რომ აშკარად შესამჩნევია, ყველა კარგად ხედავს.

ფეხბურთის ფენომენი სულ სხვაა. იმთავითვე ჩვენი ხალხისთვის ის სპორტის №1 სახეობაა. აქედან გამომდინარე მოთხოვნებიც ბუნებრივია და, ვიდრე ეს საყოველთაო-სახალხო ინტერესი მხოლოდ ერთი უწყების, თუნდაც სფფ-ს ამარა რჩება, შორს გამიზნულ გეგმებზე ოცნება, ოცნებად დარჩება.

თენგიზ გაჩეჩილაძე

„მეტალურგი“ უმაღლეს ლიგაში

საფეხბურთო გუნდი „მეტალურგი“ ზესტაფონის რაიონში სპორტის ქომაგთა დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყო მუდამ გარემოსილი. გუნდი ხშირად გამოდიოდა საქართველოს პირველობაში საპრიზო ადგილებზე, იყო საქართველოს თასის მფლობელიც.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან „მეტალურგი“ „მარგვეთად“ იწოდებოდა.

ამ ორი წლის წინათ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელების, რაიონის თავკაცების და ფეხბურთის გულშემატკივრების მოთხოვნით გუნდმა ისევ დაიბრუნა ძველი სახელი.

განახლებულ „მეტალურგს“ სათავეში ჩაუდგა ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი ნუგზარ მდივანი, შემოიკრიბა კვალიფიციური მწვრთნელები, გუნდი დაკომპლექტდა პერსპექტიული ფეხბურთელებით და ჩაერთო საქართველოს რეგიონალურ პირველობაში, საიდანაც გადავიდა პირველ ლიგაში. პირველ ლიგაში, მაღალი ოსტატობით და ფინანსური მდგომარეობით გამორჩეული 12 გუნდი გამოდიოდა, აქაც ტოლი არავის დაუდო „მეტალურგმა“ მოგებას, მოგება მოსდევდა. მონოლითურმა გუნდმა ძირითად მიზანსაც მიაღწია – უმაღლეს ლიგაში შედგა ფეხი.

ამ დიდ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს გუნდის მთელმა კოლექტივმა, სტადიონის დირექციამ (დირექტორი გენო ფხალაძე), ფეროშენადნობთა ქარხანამ (დირექტორი ვახტანგ ასლანიკაშვილი) და სხვებმა, რომლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი გუნდის წარმატებებს.

გუნდის პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა ახალი მიზნები, ახალი ამოცანები დასახა, მწვრთნელებიც დანიშნა ფეხბურთის კარგი მცოდნე ვასილ ჭეიშვილი და ზურაბ ბოჭორიშვილი, გუნდის უფროსია გია დიბრაძე. დაიწყო მზადება დიდი ფეხბურთისათვის, ფეროშენადნობთა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით შალიკაშვილი გუნდს ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპირდება.

ნუგზარ მდივანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ გუნდი ყოველმხრივ მოემზადება და გაცილებით უკეთ ითამაშებს, რათა თავისი ადგილი დაიმკვიდროს საქართველოს უმაღლეს ლიგაში. გვარდება ფორმა-ინვენტარით უზრუნველყოფის და ფეხბურთელთა ანაზღაურების საკითხები. გვეყოლება ფარმკლუბი. რაიონის ხელმძღვანელობამ გამოგვიყო მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდება სპეციალური ბაზა, შეეეთდება სასტუმრო, ფეხბურთელთა ოთახები, სათამაშო მინდორი და სხვ.

ჰენრი შარიძაძე,
„ლელოს“ კორესპონდენტი იმერეთის მხარეში

„ვიტ ჯორჯიას“ მეორე ევროპული გამოცდა

16 ივნისს, 18 საათზე, თბილისის, ბორის პაიჭაძის სახელობის, ეროვნულ სტადიონზე თბილისის „ვიტ ჯორჯია“ მეორედ ჩაებმება ევროტურნირში. ვეტერინარების ევროპული თასებზე ასპარეზობის ისტორია შარშან ისრაელის „ბეითართან“ ორრაუნდიანი პაექრობით დაიწყო. სამწუხაროდ, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, ჩვენი გუნდი შინ 0-3 დამარცხდა, განმეორებით შეხვედრაში კი ფრე 1-1 აღინიშნა.

წლეულს, „ვიტ ჯორჯია“ ინტერტოტოს თასზე იასპარეზებს და უეფას თასის პირველ ეტაპზე გაღწევას შეეცდება. მისი მეტოქე ავსტრიის „რიდია“, რომელსაც ქართულ გუნდთან 1997/98 წლების სეზონში, ასევე ინტერტოტოს თასზე აქვს ნათამაშევი. მაშინ ავსტრიელები შინ მეორე თბილისურმა გუნდმა „მერანმა“ 3-1 დაამარცხა. წლევანდელი ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრას „რიდი“ და „ვიტ ჯორჯია“ 23 ან 24 ივნისს ავსტრიაში ითამაშებენ. ხვალინდელ მატჩს კი უნგრელი მსაჯები გაუძღვებიან: მთავარი მსაჯია ატილა იულოსი, ასისტენტები — ბელა მეზო და ტიბორ გიარმატი, მეოთხე მსაჯი ქართველია ავთანდილ შალამბერიძე. კომისარია თურქი ბიულენტ იაუზი.

«ვიტ ჯორჯიას» მეტოქე

„რიდი“ ავსტრიაში – მეშვიდე

იყო დრო როცა ავსტრიის პირველობაზე სულ ორადორი კლუბი იყო ჩემპიონობის პრეტენტი: ვენის „რაპიდი“ და „აუსტრია“. მას შემდეგ გათამაშების ფორმულა არაერთგზის შეიცვალა. ახლა ჩემპიონატი „შემოდგომა“ – „გაზაფხულის“ სისტემით ტარდება, 10 კლუბს შორის 4 წრედ. დღეს ავსტრიულ ფეხბურთს ევროპაში, ასე ვთქვათ, საშუალო ადგილი უკავია: მოწინავეებს, ცხადია, ვერც შეედავება, მაგრამ იგი არც ისე ხელწამოსაკრავია.

ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში პირველ ადგილის პრეტენზია სულ ორ კლუბს ჰქონდა: ინსბრუკის „ტიროლისა“ (შარშანდელი ჩემპიონს) და ოდესღაც დიდი სახელის მქონე ვენის „რაპიდს“. დასაწყისში წინ გაიჭრა „რაპიდი“, პირველი წრის შემდეგ 6 მოგება, 3 ფრე ჰქონდა და მთელი 9 ქულით უსწრებდა „ტიროლს“. ამას იმით ხსნიდნენ, რომ დასაწყისში „ტიროლი“ ძირითად ყურადღებას უეფას თასის გათამაშებას უთმობდა, სადაც „ფიორენტინას“ სძლია და დიდი ბრძოლის შემდეგ კი „შტუტგარტს“ დაუთმო გზა. როცა უეფას თასისაგან „განთავისუფლდა“, „ტიროლმა“ ავსტრიის პირველობაზე ზედიზედ 7 მატჩი მოიგო, რამაც მას საშუალება მისცა მეექვსედან პირველ ადგილზე გადასულიყო. შემდეგ ლიდერობა უკვე ხელიდან აღარ გაუშვია. 36 თამაშიდან (20 მოგება, 8 ფრე, 8 წაგება, ბურთები 63-31) 68 ქულით დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. ჩემპიონის რიგებში გამოირჩეოდნენ რუსეთის ნაკრების ყოფილი მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი და პოლონელი თავდამსხმელი რადისლავ გილევიჩი, რომელმაც 22 გატანილი ბურთით სნაიპერებში პირველი ადგილი დაიკავა.

„რაპიდმა“ თუმცა პირად შეხვედრებში ჩემპიონს არაფერი დაუთმო – მხარეებმა მოიგეს თითო მატჩი, ორი კი ფრედ დასრულდა, საბოლოო ანგარიშით ინსბრუკელებს ჯეროვანი წინააღმდეგობა მაინც ვერ გაუწია და 8 ქულით ჩამორჩა. „რაპიდი“ მეორე ადგილზე გავიდა 60 ქულით (16 მოგება, 12 ფრე, 8 წაგება, 62-36).

მომდევნო ადგილებზე არიან გაკ-ი („გრაცერ ატლეტიკ კლუბი“) 57 ქულით, გრაცის „შტურმი“ (სადაც თამაშობდნენ რუსეთის ნაკრების ყოფილი წევრები რამიზ მამედოვი და სერგეი იურანი) – 55, ვენის „აუსტრია“ – 50, „ზალცბურგი – 49 და „რიდი“ – 48. დანარჩენ სამ კლუბს: „ბრეგენცს“ (38), ვენის „ადმირა – ვაკერს“ (36) და ლასკ-ს (33) თავიდან ბოლომდე ძალიან უჭირდა. რა ვიცით „რიდის“ შესახებ. მან მოიგო 13 მატჩი, 9 ფრედ დაასრულა და 14 წააგო, ბურთები 51-52. ერთის სიტყვით, დღევანდელი ავსტრიული ლიგისთვის ეს არის საშუალო კლუბი, რომლის რიგებში აღნიშნავენ თავდამსხმელებს ჰერვიგ დრექსელსა (14 გოლი) და მუჰამედ აკაგუნდუსს (13 გოლი). საინტერესოა ისიც, რომ დრექსელმა რვა 11-მეტრიანი დაარტყა და მხოლოდ ხუთჯერ მიაღწია შედეგს. კრისტოფ დაუერსმა ერთ მატჩში ჰეთ-ტრიკი შეასრულა. „რიდმა“ ინტერტოტოს თამაშების წინ სხვა გუნდებიდან ერთი მცველი (ჰანს ფიორსტერი) და ორი ნახევარმცველი (თომას ლაიმერი და ჰანს ვინკლბაუერი) დაიმატა. „რიდს“ წვრთნის ჰელმუტ კრონიაგერი.

თუ „ვიტ ჯორჯიამ“ ავსტრიული ჯგუფი დასძლია, მომდევნო წრეში მისი მეტოქე უკვე ფრანგული „ტრუა“ იქნება, რომელმაც თავისი ქვეყნის პირველობაზე მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ბივი თორელი

ინტერტოტოს თასი

I ეტაპი. 16-17 და 23-24 ივნისი

ზაგრები (ხორვ.) — პობედა (მაკედ.)
უნივერსიტატია (რუმ.) — ბილიში (ალბ.)
გროცლინი (პოლ..) — სპარტაკი (ვარნა, ბულგ.)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრ.) — ტალინი (ესტ.)
ეკრანასი (ლიტვა) — არტმედია (სლოვ.)
ტატაბანია (უნგრ.) — შირაკი (სომხ.)
ზაგლებე (პოლ.) — ჰიბერნიანსი (მალ.)
ორჰუსი (დანია) — ცელიე (სლოვე.)
დანდი (შოტლ.) — სარტიდი (იუგ.)
სენტ ჯულია (ანდ.) — ლოზანა (შუიც)
მიუპა (ფინ.) — გლორია (რუმ.)
ანართოსისი (კვიპრ.) — სლავენი (ხორვ.)
ჩელიკი (ბოსნია) — დენიზლისფორი (თურქ.)
ვიტ ჯორჯია (საქართ.) — რიდი (ავსტრია)
კარმარტენ თაუნი (უელსი) — აიკ (შვედ.)
ტოფტირი (ფარერ.) — ლოკერენი (ბელგ.)
დინამო (მინსკი, ბელა.) — ჰობშაიდი (ლუქს.)
ტილიგული (მოლდ.) — კლიფტონვილი (ჩრდ.ირ.)
ბრინდავიკი (ისლან.) — ვილიაში (აზერბ.)
კორკ სიტი (ირლ.) — მეტალურგსი (ლატ.)

II ეტაპზე მატჩები გაიმართება: 30 ივნისი — 1 ივლისი და 7-8 ივლისს.

ბავშვთა ფეხბურთი

უმცროსებმა უფროსებს აჯობეს

«მერანი»

1985 წელს დაბადებულთა შორის თბილისის პირველობა 16 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა, აქედან ერთი უმცროსი ასაკის იყო — „მერანი“ (1986 წელს დაბადებულნი). სწორედ უმცროსები აღმოჩნდნენ ტურნირში უძლიერესები (მწვრთნელი დავით ეჯიბაშვილი, სკ. დირექტორი გენადი ქიქავა). მეორე ადგილზე გავიდა „ბერმუხა“ (მწვრთნელი ტარიელ ბოლაშვილი), მესამეზე — „ლოკომოტივი“ (მწვრთნელი დავით ქობილაშვილი). აღსანიშნავია, რომ პატარა მერანელებისთვის ეს პირველი წარმატება არ ყოფილა. მარტში ისინი სვერდლოვსკში გამართულ მე-7 საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ თავიანთ ასაკში და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. მ. მესხის თასზე კი გუნდმა პირველობა და ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ახალგაზრდა ნიჭიერი მწვრთნელის დავით ეჯიბაშვილის აღსაზრდელებს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, რამდენიმე წელიწადში დიდ ფეხბურთში ვიხილავთ.

და კიდევ... «მერანი» — 91

რობერტ ბაგოიანის ფოტო

«მერანი»-91. *მარცხნიდან. სხედან:* დათო ლოხიშვილი, დათო გოგატიშვილი, ბექა მესხია, ვასიკო ფურცელაძე, ცოტნე პაპიაშვილი, თენგო თურმანიძე, ზურიკო გვასალია, შალვა ცხვედიანი, თორნიკე მოგელიძე, ბიჭიკო კოპალიანი. *დგანან:* მწვრთნელი გია ჯმუხაძე, გიგა პერტაია, მეველუდი ჯიქური, ნიკა კოპალიანი, როსტომ რასოიანი, ლადო ასათიანი, რაზა უშიკიშვილი, გიორგი კობიაშვილი, მირზა ჩუბინიძე, გიორგი სალთხუციშვილი, გიორგი კაბიძე, მწვრთნელი დავით ძაგანია.

«მიმინო» — 99. *მარცხნიდან. სხედან:* აკაკი მგელიაშვილი, გიორგი კორიფაძე, დათო ქელეხსაშვილი, გ. ვაჩაძე, თ. მეტრეველი, დ. პაპავა, დ. შარაშიძე, თ. დარასალია, გ. გულიკაშვილი, ვ. ლომიძე, ლ. უჯმაჯურიძე, გ. ბარბაქაძე, გ. ფოჩხუა. *დგანან:* ვ. გარამაშვილი, რ. ჭოლიკური, გ. აივაზაშვილი, დ. ბურჯანაძე, ი. შამათავა, ბ. ნიკოლაიშვილი, შ. მელიქიძე, გ. გულიკაშვილი, გ. აფციაური, ჯ. ალანია, მ. ნოზაძე, ბ. ჟორჟოლიანი, შ. თურმანიძე, ი. ურუმაშვილი. ეს მოსწავლეები 174-ე სკოლის აღსაზრდელები არიან — დირექტორი რომან ტიკაძე. მარცხ. გოჩა ფეიქრიშვილი. (მწვრთნელი) მარჯვნიდან: გუჯა გუზიტაშვილი (მწვრთნელი).

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ამ დღეებში პირველად ჩატარდა ზაზა ელოშვილის ხსოვნის ტურნირი 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის თბილისის 15 გუნდის მონაწილეობით. მატჩები „სინათლის“ სტადიონზე გაიმართა. ნახევარფინალში „მერანი-91 შეხვდა „ვაკე“-91-ს. 3-2 გაიმარჯვეს მერანელებმა, „მიმინომ“ კი „არწივს“ აჯობა 6-1. სამაგიეროდ „არწივი“ თავისი მედიდურობა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გამოავლინა და ადვილად სძლია ვაკელებს. ფინალში გასულ მერანელთა და „მიმინოს“ დაბაბულ მატჩში წარმატება „მერან“-91-ს ხვდა 1-0 (მწვრთნელები დ. ძაგანია და გ. ჯმუხაძე).

საუკეთესოდ სცნეს: მეკარე — გიორგი ვაჩაძე („მიმინო“) მცველი — გიგა პერტაია („მერანი“), ნახევარმცველი — გიგა გაბელაია („არწივი“), თავდამსხმელი — გელა ოქროპირიძე („ვაკე“ — 91). საუკეთესო ფეხბურთელად მევლუდ ჯიქური („მერანი“), საუკეთესო მებრძოლად — ივანე ვულიკაშვილი („მიმინო“.).

„მაუდი“ იბრუნებს პრიორიტეტს

მაუდ-კომვოლის სტადიონზე 8 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს საფეხბურთო კლუბ „მაუდის“ დაფუძნების და მასთან არსებული საფეხბურთო სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ თასის მოსაპოვებლად.

ტურნირში, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარდა, 1989-84 წლებში დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ.

საინტერესო ტურნირის დაძაბულობამ პიკს ნახევარფინალებში და ფინალში მიაღწია. ამ მატჩებში იყო ყველაფერი, რითაც ლამაზი და საინტერესოა ფეხბურთი: გამოჩნდნენ არაორდინალური მოთამაშეები, იყო ლამაზი გოლები, მატჩისშემდგომი პენალტები, სიხარული და იმედგაცრუება. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ „მაუდის“ (უფროსი მწვრთნელი ირაკლი გორგოშიძე) და „ლოკომოტივი 1“ (უფროსი მწვრთნელი გოდერძი ჩიხრაძე) გუნდები.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ანგარიში მინიმალური იყო 1-0, ღირსეულად გაიმარჯვა „მაუდმა“, რომელმაც მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა (5 მოგება, ბურთების შეფარდება 11:1).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა ნიკა ზედელაშვილს („მაუდი“.)

გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: ირაკლი გრძელიშვილი, გიორგი ფეტელავა, ლევან კოტრიკაძე, კარლო მეტრეველი, გეგი გარუჩავა, ოთარ ბახტაძე, ნიკო ჯღარკავა, ნიკა ზედელაშვილი, გიორგი ლატარია, ლადო კობახიძე, ნიკა ქავთარაძე, ირაკლი კოკაია, დათო ჭუმბურიძე, გიორგი ჯოჯუა, ვასიკო თედოზაშვილი, გოჩა საღრიშვილი, ნოდარ ფოფხაძე.

მატჩებს მაყურებლებიც საკმაოდ ესწრებოდა. ყველას სათქმელი კარგად გამოხატა ერთმა გულშემატკივარმა: „არ გამიცდენია არცერთი თამაში, მადლობა ყველა მონაწილეს, რომლებმაც 12 დღის განმავლობაში სიამოვნება და სიხარული მოგვანიჭეს. დარწმუნებული ვარ, „მაუდის“ სტადიონი კვლავ დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მას ჰქონდა თავის დროზე თბილისის ფეხბურთში.

ახლა აქ საამისოდ ყველა წინაპირობაა. მთავარია, ყველა, ვისაც ეს შეუძლია, მხარში დაუდგეს ახალი კლუბისა და საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობას“.

ცოტნე ბაძრაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული კატეგორიის არბიტრს ლავრენტი რაზმაძეს ძმის

ვალერი რაზმაძის

გარდაცვალების გამო

დაკრძალვა კვირას, 17 ივნისს, 14 საათზე: გორის რაიონი, სოფელი ქვემო სობისი.

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი სამძიმარს უცხადებს ეროვნული კატეგორიის არბიტრს ლავრენტი რაზმაძეს ძმის გარდაცვალების გამო.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

კონკაკაფი ● ფინალური ეტაპი

I ტური: კოსტა რიკა — ჰონდურასი 2-2
იამაიკა — ტრინიდადი და ტობაგო 1-0
აშშ — მექსიკა 2-0
II ტური: კოსტა რიკა — ტრინიდადი და ტობაგო 3-0
მექსიკა — იამაიკა 4-0
ჰონდურასი — აშშ 1-2
III ტური: იამაიკა — ჰონდურასი 1-1
აშშ — კოსტა რიკა 1-1
ტრინიდადი და ტობაგო — მექსიკა 1-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
აშშ	3	3	0	0	5-1	9
მექსიკა	3	1	1	1	5-3	4
კოსტა რიკა	3	1	1	1	5-3	4
იამაიკა	3	1	1	1	2-5	4
ჰონდურასი	3	0	2	1	4-5	2
ტრინიდადი და ტობაგო	3	0	1	2	1-5	1

მომდევნო IV ტური: ***16-17 ივნისი.***
ტრინიდადი და ტობაგო — ჰონდურასი
მექსიკა — კოსტა რიკა
იამაიკა — აშშ
19-20 ივნისი (V ტური)
ჰონდურასი — მექსიკა
აშშ — ტრინიდადი და ტობაგო
კოსტა რიკა — იამაიკა
30 ივნისი — 4 ივლისი (VI ტური)
მექსიკა — აშშ
ჰონდურასი — კოსტა რიკა
ტრინიდადი და ტობაგო — იამაიკა
1-2 სექტემბერი (VII ტური)
აშშ — ჰონდურასი
იამაიკა — მექსიკა
ტრინიდადი და ტობაგო — კოსტა რიკა
4-5 სექტემბერი (VIII ტური)
კოსტა რიკა — აშშ
ჰონდურასი — იამაიკა
მექსიკა — ტრინიდადი და ტობაგო
6-7 ოქტომბერი (IX ტური)
აშშ — იამაიკა
ჰონდურასი — ტრინიდადი და ტობაგო
კოსტა რიკა — მექსიკა
10-11 ნოემბერი (X ტური)
ტრინიდადი და ტობაგო — აშშ
იამაიკა — კოსტა რიკა
მექსიკა — ჰონდურასი

სამი საუკეთესო მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს.

ოკეანიის ზონა

დამთავრდა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების პირველი ეტაპი ოკეანიის ზონაში. გუნდები 2 ჯგუფად ასპარეზობდნენ.

I ჯგუფი

ავსტრალია	4	4	0	0	66-0	12
ფიჯი	4	3	0	1	27-4	9
ტონგა	4	2	0	2	7-30	6
სამოა	4	1	0	3	9-18	3
ამერიკული სამოა	4	0	0	4	0-57	0

II ჯგუფი

ახ. ზელანდ.	4	4	0	0	19-1	12
ტაიტი	4	3	0	1	14-6	9
სოლომ. კუნძ.	4	2	0	2	17-10	6
ვანუატუ	4	1	0	3	11-21	3
კუკის კუნძ.	4	0	0	4	2-25	0

ჯგუფებში გამარჯვებულთ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები ერთმანეთს შეხვდებიან და გამარჯვებული ფიფას რეგლამენტის მიხედვით ეთამაშება სამხრეთ ამერიკის ზონის მეხუთე ადგილზე გასულ ნაკრებს, აქ გამარჯვებული კი მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

სკოლარი

სკოლარი – ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი

ბრაზილიის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ლუის ფელიპე სკოლარი. „დიდი ფილი" — ასე უწოდებენ სკოლარს. იგი გამოირჩევა სკანდალური ხასიათით და მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ გაწვრთნილი გუნდები მუდამ წარმატებით ასპარეზობდნენ, თავად სკოლარი არ იყო პოპულარული ბრაზილიაში. სკოლარი ბოლოს „კრუზეიროს" წვრთნიდა.


ლიპი

ლიპი – „იუვენტუსში"

„იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტმა ვიტორიო კიუზანომ ოფიციალურად განაცხადა, რომ „იუვენტუსის" ახალი მწვრთნელი მარჩელო ლიპი იქნება. იტალიურ გაზეთ „ლა რესპუბლიკასთვის" მიცემულ ინტერვიუში კიუზანომ განაცხადა, რომ არ შეუძლიათ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. ძალიან ძნელია გაანთავისუფლო ისეთი მშვენიერი სპეციალისტი და დიდებული ადამიანი, როგორიცაა კარლო ანჩელოტი.

„მარჩელო ლიპი დიდებული მწვრთნელია და ვინც ფიქრობს, რომ მისი დრო წავიდა, მალევე დარწმუნდება, რომ სცდებოდა, — განაცხადა კიუზანომ.

„შერიფი" მოლდოვას ჩემპიონია

გაიმარჯვა რა „არგოსთან" შეხვედრაში 2-0, „შერიფი" პირველად გახდა მოლდოვას ჩემპიონი. სამი კვირის წინ „შერიფმა" მოიპოვა აგრეთვე მოლდოვას თასი. „არგოსთან" მატჩში პირველი ბურთი ნიგერიელმა თავდამსხმელმა ონუ ანკემ გაიტანა, ხოლო მეორე — მოლდოვას ნაკრების თავდამსხმელმა ბარბეროშმა 11 მეტრიანით. პენალტი კი საჯარიმოში დავით მუჯირის წაქცევისათვის დაინიშნა. ჩემპიონატის ბომბარდირები გახდნენ დავით მუჯირი და რუსლან ბარბეროში (17-17 გატანილი ბურთით).

შეგახსენებთ, რომ მოლდოვას ჩემპიონატი ტარდება 1992 წლიდან და ამ ხნის მანძილზე 8-ჯერ ჩემპიონი გახდა „ზიმბრუ", ხოლო ერთხელ (1996-97 წლების სეზონში) — „კონსტრუქტორული".

კიეზა „ინტერში" გადადის

მილანის „ინტერი" მომავალ კვირას ხელს მოაწერს კონტრაქტს „ფიორენტინას" თავდამსხმელ ენრიკო კიეზასთან. გარიგების თანხა 17 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

იტალიური გაზეთების ცნობით, „ფიორენტინას" მწვრთნელს რობერტო მანჩინის არ სურს პორტუგალიელი ნახევარმცველის რუი კოშტას გაყიდვა, მაგრამ გუნდს ფული სჭირდება, რათა შემადგენლობა გადაანალისოს. ამიტომ არჩევანი კიეზაზე შეჩერდა. კიეზას „ინტერში" გადა-

ხელით ხმები გავრცელდა, თითქოს კრისტიან ვიერი „იუვენტუსში" ითამაშებს. „ინტერის" ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ ვიერი არ დატოვებს გუნდს.

მუსტაფა ჰაჯი

მუსტაფა ჰაჯი – „ასტონ ვილაში"

მაროკოს ნაკრებისა და „ქოვენთრის" ნახევარმცველი მუსტაფა ჰაჯი „ასტონ ვილაში" გადავიდა. ამის შესახებ განაცხადა „ასტონ ვილას" მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ. გარიგების თანხა ოთხნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგია.

ვინ მოიპოვებს „ოქროს ბუცს"?

არგენტინისა და „ლაციოს" თავდამსხმელმა ერნან კრესპომ თუ იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლეჩესთან" შეხვედრაში 2 ბურთი გაიტანა, გაასწრებს „სელტიკის" თავდამსხმელს ჰენრიკ ლარსონს და მოიპოვებს „ოქროს ბუცს". ბოლო ტურის წინ „ოქროს ბუცის" პრეტენდენტთა მდგომარეობა ასეთია:

1. **ჰენრიკ ლარსონი** („სელტიკი") 35 გოლი, მრავლდება 1,5 (შოტლანდიის ჩემპიონატის კოეფიციენტზე) — 52,5
2. ერნან კრესპო („ლაციო") 25 გოლი X 2 (იტალიის ჩემპიონატის კოეფიციენტი) — 50
3. მატეია კეჟმანი („პსვ") 24 გოლი X 2 (ჰოლანდიის ჩემპიონატის კოეფიციენტი) — 48
4. ანდრეი შევჩენკო („მილანი") 24 X 2 5. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი („ჩელსი") 23 X 2 (ინგლისის ჩემპიონატის კოეფიციენტი) — 46
6. რაული („რეალი") 22 X 2 (ესპანეთის ჩემპიონატის კოეფიციენტი) — 44
7. სერგეი ბარბარესი („ჰამბურგი") 22 X 2 (გერმანიის ჩემპიონატის კოეფიციენტი) — 44
8. ებბე სანდი („შალკე 04") 22 X 2 — 44.

სურათებზე: ლარსონი (ზევით, მარცხნივ) კრესპო (ქვევით, მარცხნივ) შევჩენკო.

ინგლისმა ადგილი „მოპარა" გერმანიას ჩემპიონთა ლიგაში

2002-2003 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ინგლისი წარსდგება 4 გუნდით. „არსენალის", „ლიდსის" და „მანჩესტერის" წარმატებულმა გამოსვლამ ჩემპიონთა ლიგაში, აგრეთვე „ლივერპულის" ტრიუმფმა უეფას თასზე, საშუალება მისცა ინგლისურ კლუბებს უეფას რეიტინგით გადაესწროთ გერმანული კლუბებისათვის. რეიტინგში ლიდერობს ესპანეთი, მეორეა — იტალია. ეს ქვეყნებიც გამოიყვანენ 4-4 გუნდს.

ახლა გაგაცნობთ უეფას რეიტინგით ოც საუკეთესო შედეგს:

1. ესპანეთი	**65,210**
2. იტალია	**56,239**
3. ინგლისი	**51. 288**
4. გერმანია	48,632
5. საფრანგეთი	42,352
6. ჰოლანდია	30,249
7. თურქეთი	29,975
8. საბერძნეთი	28,366
9. რუსეთი	27,708
10. პორტუგალია	26,274
11. ჩეხეთი	24791
12. ბელგია	24,150
13. უკრაინა	23,833
14. ავსტრია	23,750
15. ნორვეგია	23,600
16. შოტლანდია	22,375
17. შვეიცარია	21,875
18. ხორვატია	19,999
19. შვედეთი	18,208
20. პოლონეთი	17,500.

ლიბერტადორესის თასი

ლიბერტადორესის თასის განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „პალმეირასი" და არგენტინის „ბოკა ხუნიორსი". პირველი შეხვედრა ფრედ 2-2 დამთავრდა.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმა შარშან თასის ფინალში ითამაშეს და მაშინ პენალტების სერიით გაიმარჯვა „ბოკა ხუნიორსმა".

ამჟამინდელ ნახევარფინალს შთამბეჭდავ გოლებთან ერთად ახლდა უხეშობა, როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ. მატჩის დასაწყისში, უკვე მე-17 წუთზე, ანგარიში იყო 2-0 „ბოკას" სასარგებლოდ. მე-2 წუთზე ანგარიში გახსნა გაიტამ, ხოლო მე-17 წუთზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა ხუან რომან რიკელმემ გაიტანა მეორე გოლი. ამ შეხვედრაში მთელი 120 წუთი ამ ფეხბურთელს უმოწყალოდ ურტყამდნენ ბრაზილიელი ფეხბურთელები. ბრაზილიელმა 37-ე წუთზე ფაბიო ჟუნიორმა ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო ორი წუთის

მატჩის მომენტი

შემდეგ, ბრაზილიელი გულშემატკივრები გადაცვივდნენ მოედანზე, და გვერდითი მსაჯი ნოკაუტში ჩააგდეს. სამდიცინო დახმარების შემდეგ მსაჯმა გააგრძელა თამაში. მეორე ნახევრის 67-ე წუთზე „ბოკას" კაპიტანმა ხორხე ბერმუდესმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 2-2. დამატებით დროში ლირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, გარდა უხეშობისა და, როგორც შარშან, ახლაც საჭირო შეიქნა 11 მეტრიანების სერიის დანიშვნა. აქ კი არგენტინელებმა გამოიჩინეს თავი და გავიდნენ თასის ფინალში.

„პალმეირასი" — „ბოკა ხუნიორსი" 2-2, პენალტი 2-3, 0-1 გაიტანი (2), 0-2 რიკელმე (17), 1-2 ფაბიო ჟუნიორი (37), 2-2 ბერმუდესი (67 საკ. კარში).

იგალიის თასი „ფიორენტინას"

გაიმართა იტალიის თასის განმეორებითი შეხვედრა „ფიორენტინასა" და „პარმას" შორის. პირველი შეხვედრა პარმაში დასრულდა „ფიორენტინას" გამარჯვებით 1:0. განმეორებით შეხვედრაში ანგარიში გახსნა „პარმას" თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა შეხვედრის 38-ე წუთზე, მაგრამ მეორე ნახევრის 65-ე წუთზე ნუნუ გომეშმა გაათანაბრა ანგარიში. ამრიგად, ორი მატჩის ჯამში იტალიის თასი მოიპოვა „ფიორენტინამ".

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

დანია

ოლბორგი — ლიუნგბიუ 2-0
ბრონდბიუ — ვიბორგი 2-1
აკადემისკი — მიდტიულანდი 1-1
ჰადერსლევი — ორჰუსი 2-2
ოდენსე — კოპენჰაგენი 0-1
სილკებორგი — ჰერფიოლგე 1-2

საბოლოო ცხრილი

კოპენჰაგენი	**33**	**17**	**12**	**4**	**55-27**	**63**
ბრონდბიუ	33	17	7	9	71-42	58
სოლკებორგი	33	15	11	7	49-36	56
მიდტიულანდი	33	14	11	8	54-43	53
ოლბორგი	33	13	10	10	51-49	49
ვიბორგი	33	13	7	13	52-42	46
ოდენსე	33	13	7	13	49-45	46
ორჰუსი	33	13	5	15	54-58	44
ლიუნგბიუ	33	12	8	13	40-53	44
აკადემისკი	33	8	15	10	43-41	39
ჰერფიოლგე	33	7	9	17	41-65	30
ჰადერსლევი	33	1	8	24	30-88	11

პოლონეთი

ამიცა — ლეგია 3-2
ვისლა — ზაგლებე 3-0
პლოცკი — რაძიონკოვი 6-3
რუხი — გროცლინი 4-3
შლიონსკი — ვიძევი 0-0
კატოვიცე — გურნიკი 1-1
სტომილი — პოგონი 0-1
პოლონია — ოდრა 1-2

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ვისლა	**30**	**19**	**5**	**6**	**66-27**	**62**
პოგონი	30	16	5	9	43-33	53
ლეგია	30	14	8	8	45-29	50
პოლონია	30	13	7	10	38-30	46
ზაგლებე	30	14	4	12	43-40	46
ამიცა	30	13	5	12	48-44	44
რუხი	30	13	5	12	50-48	44
კატოვიცე	30	9	15	6	28-22	42
ოდრა	30	10	9	11	39-46	39
გროცლინი	30	9	10	11	35-38	37
შლიონსკი	30	9	9	12	32-38	36
ვიძევი	30	9	9	12	33-40	36
გურნიკი	30	9	7	14	29-35	34
სტომილი	30	10	4	16	22-41	34
პლოცკი	30	9	4	17	37-55	31
რაძიონკოვი	30	9	4	17	29-51	31

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კანტონა კი უნევს რეკომენდაციას, მაგრამ კრუიფს არა სურს

იმის მიუხედავად, რომ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელად, სულ ცოტა, ერთ წელს მაინც დარჩება, უკვე ახლა გაფაფაცებით ეძებენ მის შემცვლელს. ამ დღეებში აზრი გამოთქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ერიკ კანტონამ:

„იოჰან კრუიფს ყველა აუცილებელი თვისება აქვს იმისათვის, რომ კლუბს სათავეში ჩაუდგეს და იგი მსოფლიოში უძლიერესი გახადოს“. რაც შეეხება თვით კანტონას, რომელიც ძალიან უყვართ მანჩესტერელ გულშემატკივრებს, მან უარჰყო ფერგიუსონის წინადადება სათავეში ჩადგომოდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდულ გუნდს. კანტონა აცხადებს, რომ მას არ სურს მწვრთნელად მუშაობა.

რაც შეეხება იოჰან კრუიფს, მანაც იგივე თქვა: მას არ აინტერესებს არც „მანჩესტერ იუნაიტედში“ და არც რომელიმე სხვა კლუბში მუშაობა.

2006 წლამდე

ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა 2006 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი რომის „ლაციოსთან“. იგი წელიწადში 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამრიგად, ამაოდ დამთავრდა „რომასა“ და მილანის „ინტერის“ ცდა ჩეხი ფეხბურთელი ამ კლუბებში გადასვლის შესახებ.

დოლმატოვი – მოსკოვის „დინამოში“

ცნობილ მწვრთნელ ოლეგ დოლმატოვს, შარშან, როგორც ცნობილია, ძალზე უსიამოვნო რამ მოუვიდა. ზამთარში მისი ცოლი სახლიდან გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. რა არ იფიქრეს, სად არ ეძებეს, ვერსად აღმოაჩინეს...

მას შემდეგ დოლმატოვმა ერთხანს იმუშავა ცსკა-ში, მაგრამ თავზარდაცემულს, არაფერი გამოუვიდა.

წელს ეს სპეციალისტი კარგად უძღებოდა კრასნოდარის „ყუბანს“, მაგრამ ამ დღეებში განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ. როგორც ფიქრობენ, მცირე შესვენების შემდეგ იგი მოსკოვის „დინამოს“ ჩაუდგება სათავეში.

მარადონას საბელევიზიო პროგრამა

დიეგო მარადონა ახლა არგენტინულ კლუბ „ალმაგროს“ მწვრთნელთა შტაბის კოორდინატორის მოვალეობას ასრულებს. რახანია არგენტინის ჩემპიონატი უკვე დამთავრდა, მან გადაწყვიტა კუბაში გაემგზავროს, სადაც ტელეკომენტატორად გამოვა. კერძოდ, გი ინტერვიუს კუბის ლიდერ ფიდელ კასტროსგან აიღებს. რახანია იგი ფიდელ კასტროს მეგობრად ითვლება, ნებართვა ჰავანაში ტელეგადაღებების შესახებ არგენტინელს უკვე მისცეს. მისი ინტერვიუ არგენტინის ერთ-ერთი საკაბელო ტელეარხით გადაიცემა.

ჰავანიდან მარადონა გერმანიაში გაემგზავრება, სადაც სერიაში „დიდი რეპორტაჟები“ ინტერვიუს აიღებს „ფორმულა-1“-ის პილოტ მიხაელ შუმახერისგან. როგორც მარადონას აგენტი გილიერმო კოპოლა იუწყება, უკვე არის წინასწარი მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დიეგოს სატელევიზიო პროგრამაში გამოვლენ აგრეთვე რიკი მარტინი და შაკილ ონილი.

კოვალენკო აშშ-ს ნაკრებში ითამაშებს

დმიტრი კოვალენკო, კიევის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, უკვე 5 წელია აშშ-ს ლიგაში თამაშობს. იგი „ჩიკაგო ფაიერშია“. აშშ-ს ნაკრების მწვრთნელ ბრიუს არენა დიდი ხანია იწვევდა 23 წლის ნახევარმცველს თავის გუნდში.

ახლა კოვალენკომ გადაწყვიტა დაეთანხმოს ბრიუს არენას: „მე მინდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა“.

„ორი მოთამაშე არ გაიყიდება: კანავარო და ბუფონი“

ასე განაცხადა მწვრთნელმა ენრიკო ფიდელემ, რომელიც „პარმაში“ სატრანსფერო პოლიტიკას წარმართავს. ფიდელეს განცხადება გასაგებია: თუ ამ ორმა განთქმულმა ფეხბურთელმა — იტალიაში უძლიერესმა მცველმა და მეკარემ „პარმა“ დატოვა, გუნდი აშკარად დასუსტდება. ისე კი, ფაბიო კანავაროს გადაბირება სურს რომის „ლაციოს“, რომლის პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის კარგი ურთიერთობა აქვს ტანცის ოჯახთან, „პარმას“ საკონტროლო აქციების პაკეტის მფლობელთან. რაც შეეხება ჯუნლუიჯი ბუფონს, მას „ბარსელონაც“ ეპატიჟება და „რომაც“.

ამავე დროს, მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლებმა მოლაპარაკება დაიწყეს „პარმასთან“ მცველ ლილიან ტიურამის შეძენის შესახებ. იგი ძალიან მოსწონს „რეალის“ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს. საფრანგეთის ნაკრების მცველს „მანჩესტერ იუნაიტედიც“ იწვევს, მაგრამ ტიურამს მაინც ესპანეთში გადასვლა ურჩევნია.

ინგლისის ჩემპიონატის სნაიპერები

ვინ გამოიჩინა თავი ინგლისის ჩემპიონატში შედეგიანობით? აი ისინიც გუნდების მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (79 გოლი): შერინგემი — 15, სოლსკიაერი — 11, ბეკჰემი — 9, ე. კოული — 9, იორკი — 8.

„არსენალი“ (63): ანრი — 17, ვილტორი — 8.

„ლივერპული“ (71): ოუენი — 16, ჰესკი — 14, თაულერი — 8.

„ლიდს იუნაიტედი“ (64): ვიდუკა — 17, ა. სმითი — 11, რობი კინი — 9, ბოიერი — 9.

„იფსვიჩ თაუნი“ (57): სტიუარტი — 19, არმსტრონგი — 8.

„ჩელსი“ (68): ჰასელბაინკი — 23, პოიეტი — 11, გუდიონსონი — 10, ძოლა — 9.

„სანდერლენდი“ (46): ფილიპსი — 14, ჰატჩინსონი — 8.

„ასტონ ვილა“ (46): დაბლინი — 8.

„ჩარლტონ ატლეტიკი“ (50): იუჰანსონი — 11.

„საუთჰემპტონი“ (40): ბიტი — 11, პახარი — 9.

„ნიუკასლ იუნაიტედი“ (44): კორტი — 6, სოლანო — 6.

„ტოტენჰემ ჰოტსპური“ (47): ლ. ფერდინანდი — 10, რებროვი — 9.

„ლესტერ სიტი“ (39): აკინბაინი — 9.

„მიდლსბრო“ (44): ბოქშიჩი — 12.

„ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (45): კანუტე — 11, დი კანიო — 9.

„ევერტონი“ (45): კ. კემპბელი — 9.

„დერბი ქაუნთი“ (37): კრისტი — 8... ქინქლაძე — 1.

„მანჩესტერ სიტი“ (41): ვანჩოპე — 9.

„ქოვენთრი სიტი“ (36): ჰარტსონი — 6, ბელამი — 6.

„ბრედფორდ სიტი“ (30): კარბონე — 5.

კურიოზიც ასეთი უნდა...

იტალიაში ფენომენური სკანდალი მოხდა: ქვეყნის რამდენიმე რეგიონში გავრცელდა გაზეთ „Gazzetta dello Sport“-ის ჩანართი, მიძღვნილი „რომას“ გაჩემპიონებისადმი. საქმე ისაა, რომ ყველა ფიქრობდა, ბოლო ტურის წინ „რომა“ მოუგებდა „ნაპოლის“ და მიუწვდომელი გახდებოდა კონკურენტებისათვის. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა დაამზადა სპეციალური ჩანართი და გაუგზავნა გამავრცელებლებს ინსტრუქციით – გაეყიდათ ჩანართი მხოლოდ დედაქალაქის კლუბის გამარჯვების შემთხვევაში. „რომამ“ კი ფრედ 2-2 ითამაშა და ჩანართი ადარ იყო საჭირო. მაგრამ გამავრცელებელთა დაუდევრობით, ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ჩანართი მაინც მოხვდა მყიდველის ხელში.

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა კანდიდო კანავომ უკვე ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.

მაგრამ, გაუგებარი შემთხვევით, ასეთი ორიგინალური ნომრები, მაინცდამაინც მოხვდა... პარმაში. არადა, ჩემპიონატის ბოლო ტურში „რომას“ შეხვედრა აქვს ამ ქალაქის გუნდთან და რომაელებს, რაც უნდა მოხდეს, აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. ამაზე მეტი გამაღიზიანებელი „პარმასთვის“ რადა იქნება.

თავის ქალაქს სტადიონი აუშენა

მილანის „ინტერის“ ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა, რომელიც წარმოშობით სურინამელია, თავის მშობლიურ ქალაქ პარამარიბოში საკუთარი სახსრებით სტადიონი ააშენა, რომელიც 1,5 მილიონი დოლარი დაჯდა. იგი 24 ივნისს გაიხსნება. ამ დღეს სურინამის გუნდი „ტრანსვაალი“ ნაკრებს შეხვდება, რომელიც ევროპაში მოთამაშე სურინამელებისაგან შედგება. ზეედორფისა და მისი უმცროსი ძმების იურგენისა და სედრიკის გარდა („ინტერის“ ფარმ-კლუბში გამოდიან) ითამაშებენ არონ ვინტერი, სტენლი მენცო, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და ედგარ დავიდსი.

ექს-განელი – გერმანიის ნაკრებში

ასეთი რამ გერმანიის ნაკრებს არ ახსოვს. მის რიგებში თამაში დაიწყო განის ყოფილმა მოქალაქემ, ჯერარდ ასამომ, რომელმაც ბოლო სეზონი ძალიან ძლიერად წარმართა ვიცე-ჩემპიონ „შალკე-04“-ის შემადგენლობაში. მართალია, სხვადასხვა კლუბში ადრეც თამაშობდნენ შავკანიანი ფეხბურთელები (ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების შვილები), მაგრამ ისინი ყოველთვის გერმანელებად ითვლებოდნენ. ახლა კი განელი!..

ჯერარდ ასამოა გერმანიის ნაკრებში ყველა წესის დაცვით მიიწვიეს, ე.ი. განის ნაკრებში არასოდეს უთამაშია. იგი ძალიან ცდილობდა სადებიუტო, ამხანაგურ შეხვედრაში სლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ (2-0). 50-ე წუთზე ლამაზი ცრუ მოძრაობით გასცდა ორ მცველს, გახსნა ანგარიში, და, საერთოდ, ექსპერტებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

2 ივნისს ასამომ უკვე მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ითამაშა ჰელსინკში ფინელების წინააღმდეგ — 2-2, და, როგორც ამბობენ, არაფერი გაუფუჭებია.

„ბასტის“ სუპერტალანტს უწოდებენ

გერმანული ფეხბურთის მესვეურები ყოველთვის ჩიოდნენ, რომ რამდენი წელია ნამდვილი ტალანტი არ გამოჩენილა. პრესა შეაქებდა ვიღაცას, ერთ-ორ თამაშს მოუწონებდა, და, მალე გაირკვეოდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედებს არ ამართლებდა. არავინ ტყუვდებოდა მიუნხენის „ბაიერნის“ წარმატებებით. ბოლოს და ბოლოს, რამდენი გერმანელია ამ მართლაცდა გასაოცარ კლუბში? აი გერმანიის ნაკრები კი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში რასაც წარმოადგენდა, ეს უკვე ყველამ ნათლად ნახა.

ერთი რამ უკვე ცხადია — გერმანულ ფეხბურთშიც გამოჩნდა იქაური მიმომხილველების გამოთქმა (და შეფასება!) რომ გამოვიყენოთ სუპერტალანტი. ლაპარაკია სებასტიან დაისლერზე, ანუ უბრალოდ, ბასტიზე, როგორც მას გულშემატკივრები უწოდებენ.

სებასტიან დაისლერი დაიბადა 1980 წლის 5 იანვარს ლერახში. ბავშვობაში ადგილობრივ კლუბში თამაშობდა, 1997 წლიდან კი ერთ დროს განთქმულ, შემდეგ კი დაცემის გზაზე დამდგარ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“. 1998 წელს საყოველთაო ყურადღება მიიქცია ევროპის პირველობაზე 18-წლიან ჭაბუკებს შორის, სადაც გერმანელები მეორე ადგილზე გავიდნენ. „ბორუსიაში“ იგი ყველაზე ძლიერად თამაშობდა, 1998-99 წლების სეზონში 17 მატჩში მიიღო მონაწილეობა და სწორედ მაშინ უწოდეს სუპერტალანტი, მაგრამ ერთი კაცი რას უშველიდა გუნდს, როელსაც გარდუვალი „ჩაძირვა“ ეწერა.

როცა მიონხენგლადბახის „ბორუსია“ მეორე ბუნდესლიგაში გადავიდა, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის იქ დარჩენა, სრული უაზრობა გახდა, მით უმეტეს, რომ არა მარტო გერმანული, საზღვარგარეთული კლუბებიც იწვევდნენ. ლაპარაკი იყო თვით „რეალსა“ და „მილანზეც“ კი, მაგრამ დაისლერმა უცხოეთში წასვლა არ მოისურვა და ბერლინის „ჰერტაში“ გადავიდა.

აი, რა განაცხადა „ჰერტას“ მენეჯერმა დიტერ ჰოინესმა (მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერ ული ჰოინესის უმცროსმა ძმამ): „იმით, რომ დაისლერი ჩვენთან ჩაირიცხა, გულშემატკივრებს დიდი იმედი მივეცით. ჩვენს კლუბს შეუძლია იამაყოს, რომ გერმანიის ყველაზე უკეთესი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიძინა“.

ეს 1999 წლის ზაფხულში მოხდა. ჰოინესის გარდა, დაისლერს სხვა სპეციალისტებიც ძალიან აქებდნენ, მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ ყოფილი მწვრთნელი იმასაც კი ამბობდა, რომ ასეთი ტალანტი 100 წელიწადში ერთხელ თუ გამოჩნდება ხოლმე. რაც შეეხება გერმანიის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელს, მან დაისლერი წარსულის განთქმულ ვარსკვლავებს შეადარა: ნეცერის გადაცემები აქვს, სათამაშო სიტუაციაში კი ოვერატივით ერკვევაო.

როცა დაისლერი „ჰერტაში“ ჩაირიცხა მწვრთნელმა იურგენ რებერმა იგი დაუყოვნებლად ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე განაწესა, თუმცა იყო სხვა აზრიც: უფრო ნახევარდაცვის ცენტრში თამაში შეეფერებოდა. რებერი თვლიდა, რომ ფეხბურთელს ჯერ კიდევ აკლდა ფიზიკური ძალა (182 სმ, 71 კგ) ცენტრალურ ნახევარმცველს ძალიან ხშირად აქვს ფიზიკური კონტაქტი მეტოქესთან, აი აქ კი მეტად ძლიერი, ზოგჯერ კი პირდაპირ „კარადების“ მსგავსი მცველები „სიფრიფანა“ ჭაბუკს ხეირს არ დააყრიდნენ, დააშავებდნენ კიდეც. მარცხენა ფრთაზე კი უფრო იოლი იყო თამაში, იქ დაისლერს მეტი გასაქანი ეძლეოდა. ყოველ შემთხვევაში ასე იყო თავიდან საქმე.



დაისლერი სულ მალე გახდა ბერლინელების ნამდვილი კერპი. ძალიან სწრაფად მოქმედებდა. მისი ფლანგური გარღვევები და ზუსტი ჩაწოდებები ერთ რამედ ღირდა. როგორ ფლობდა ბურთს?! გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ ჭაბუკი ფეხბურთელი ყველაზე კარგად ურტყამდა საჯარიმოს და გოლები გაჰქონდა. ერთი სიტყვით, ასეთ ნიჭიერ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში მუდმივი ადგილი უნდა ჰქონოდა.

ერიხ რიბეკმა დაუყოვნებლივ მიიწვია დაისლერი — მას ფინეთთან და ჩრდ. ირლანდიასთან ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში უნდა ეთამაშა. მაგრამ დებიუტი კარგა ხანი გადაიდო — „ბასტი“ დაშავდა, კუნთი გაუწყდა. მან პირველად ნაკრებში 2000 წლის 23 თებერვალს ითამაშა ამხანაგურ მატჩში ამსტერდამში ჰოლანდიელების წინააღმდეგ და მას შემდეგ მისი ძირითადი ფეხბურთელი გახდა.

ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ დაისლერი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში გაიბრწყინებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. გერმანიის ნაკრები ისე უნიათოდ თამაშობდა, რომ ეტყობა, საერთოდ, ვერავინ უშველიდა. ისე კი, სებასტიანი სამივე მატჩში მონაწილეობდა. პირველ მატჩში რუმინელებთან მან ლოთარ მათეუსი შეცვალა — ამას ჟურნალისტებმა სიმბოლური „თაობათა ესტაფეტა“ უწოდეს — „ჩამქრალი ვარსკვლავიდან“ ამომავლისათვის. რაც შეეხება მეორე მატჩს ინგლისელებთან და მესამეს — პორტუგალიელებთან, „ბასტი“ თავიდანვე მონაწილეობდა.

გერმანელ მიმომხილველთა აზრით, რაც ბელგიასა და ჰოლანდიაში „არ შედგა“, სულ ერთია, იაპონიასა და კორეაში მაინც აუცილებლად მოხდება — დაისლერი აუცილებლად ბრწყინვალედ ითამაშებს.

მოვუსმინოთ ფრანც ბეკენბაუერს, რომელსაც, როგორც ცნობილია, არ უყვარს ფეხბურთელების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, ქება:

— როგორც იქნა, გერმანიაში გაჩნდა ათი ნომერი (აქ ბეკენბაუერი იმას გულისხმობს, რომ დაწინაურდა ლოთარ მათეუსის ღირსეული შემცვლელი — რედ). იგი მშვენივრად აფასებს მინდორზე შექმნილ ვითარებას, ზუსტი გადაცემები აქვს და საერთოდ, ძალიან კარგად უჭირავს თავი. ერთი რამ ჩემთვის ცხადია, იგი ნახევარდაცვის შუაგულში უნდა თამაშობდეს. რუდი ფიოლერი სწორად მოიქცა, როცა დაისლერი სწორედ ამ პოზიციაზე განაწესა...

...დიდი ხანია არ მინახავს ჩვენი ნაკრების ისეთი მაღალი კლასის თამაში, როგორ ეს საბერძნეთის გუნდთან იყო (4-2 ათენში). ძალიან ახლოს ვართ ჯგუფში გამარჯვებასთან, არ უნდა გვეშინოდეს ინგლისელებთან შეხვედრისა 7 სექტემბერს მიუნხენში. ვფიქრობ, სწორედ ამ დღეს შევუკვეთავთ იაპონია-კორეაში გასამგზავრებელ ბილეთებს“.

ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი რუდი ფიოლერი დაისლერზე ისეთივე მაღალი აზრისაა, როგორც ბეკენბაუერი: „მომავალი მას ეკუთვნის. მისი კარიერა ბრწყინვალე უნდა გამოდგეს. იქნებ სერიოზულ ტრავმებს გადაურჩეს! მაშინ გერმანიას უახლოეს ათასწლეულში ნამდვილი ლიდერის ეყოლება!“

გივი თორელი

ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში
გადაწყვეტს უკანასკნელი ტური

ოპრიდში (მაკედონია) დასასრულს მიუახლოვდა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის 6 ქართველი დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით.

204 მონაწილიდან პირველი 46 მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს, მათგან 35 კი ფულად პრიზსაც. ჩემპიონი 40 000 დოლარს, 35-ე ადგილზე გასული — 700 დოლარს.

ბოლო ტურამდე, როგორც ეს შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ ტურნირებს სჩვევია, რაიმე გარკვეულის თქმა შეუძლებელია, ჩემპიონი სულ ბოლო მომენტში თუ გაირკვევა.

ქართველ მონაწილეთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგები აქვთ დიდოსტატებს ზურაბ აზმაიფარაშვილსა და გიორგი ყაჭეიშვილს. მათ 7-7 ქულა მოაგროვეს. ზურაბს ისედაც აქვს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, ახლა მაღალი საპრიზო ადგილისათვის იბრძვის. გიორგი ყაჭეიშვილს დასჭირდება კიდევ ერთი ქულის მოპოვება მაინც ორი პარტიიდან.

6 ქულა მოაგროვა ბაადურ ჯობავამ. აი ზურაბ სტურუას, მიხეილ მჭედლიშვილს (5,5-5,5 ქულა) და ზვიად იზორიას კი უკვე აღარა აქვთ. 46 მოჭადრაკეთა შორის მოხვედრის შესაძლებლობა.

რიოსი

რიოსმა „ლიმონი დაიბრუნა“

თავისებურ „ჯილდოს“, რომელსაც „ლიმონი“ ჰქვია, ჟურნალისტები ანიჭებენ ყველაზე უფრო უმურ და არაკომუნიკაბელურ ჩოგბურთელს. ასეთად 1999 წელს ჩილელი მარსელო რიოსი ითვლებოდა, 2000 წელს კი „ლიმონი“ რუს ევგენი კაფელნიკოვს ერგო.

ამ დღეებში სპორტულმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს პარიზში, როლან გაროსზე „ლიმონი“ ისევ მარსელო რიოსს დაუბრუნეს. ჟურნალისტებთან მორიგი უკმეხობის გარდა ჩილელს კრიმინალური ისტორიაც გადახდა. რომში მას ჯერ ტაქსის მძღოლი შემოელახა, შემდეგ კი იტალიელ პოლიციელებს წინააღმდეგობაც გაუწია.

რამდენს იღებდნენ სხვადასხვა კატეგორიის მოსამსახურეები?

ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მირორმა“ გამოაქვეყნა ცნობები სხვადასხვა კატეგორიის მოსამსახურეთა შემოსავლების შესახებ არც ისე შორეული, 1996-98 წლების მონაცემებით.

გათვალისწინებულია კვირის შემოსავალი გირვანქა სტერლინგით.

კრივი, მაიკ ტაისონი — 875 000 სტერლინგი. ფეხბურთი, რონალდო — 390 000. კინოვარსკვლავი, სილვესტრ სტალონე — 385 000. კალათბურთი, მაიკლ ჯორდანი — 385 000. ავტორბოლა, მიხაელ შუმახერი — 320 000. ფეხბურთი, დევიდ ბექხემი — 56 000, ალან შირერი — 30 000, პოლ გასქოინი — 28 846 „ბრიტიშ ტელეკომის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე — 13530. ფეხბურთი, პრემიერ-ლიგის მოთამაშე (პირველი ათეულის კლუბები) — 4800. მსხვილი კომპანიის დირექტორი — 2692. ინგლისის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელი — 2400. უმაღლესი მოსამართლე — 1885. ფეხბურთი პირველი დივიზიონის მოთამაშე — 1400. ადვოკატი — 769. უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელი — 731. სტომატოლოგი — 711. პარლამენტის წევრი — 655. უნივერსიტეტის პროფესორი — 652. ფეხბურთი, მეორე დივიზიონის მოთამაშე — 500, მესამე დივიზიონის მოთამაშე — 334 გირვანქა სტერლინგი.

„დეილი მირორის“ ცნობით, ფეხბურთის ვარსკვლავები შემოსავალი ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. ამ წელიწადნახევრის წინ როი კინმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ იმას მიაღწია, რომ კვირაში 52000 გირვანქა დაუწესეს. დღეისათვის ალესანდრო (დელ პიეროს ტურინის „იუვენტუსში“ 69 230 გირვანქა აქვს, ხოლო დევიდ ბექხემი ცდილობს, ხელფასი კვირაში 100 000 გირვანქა სტერლინგამდე გაუზარდოს.

მრბოლები მრბოლებად, მანქანები! ფორმულა-1

უილიამსი



ოფიციალური სახელწოდებაა ბმვ უილიამს Ф1 (BMW. Williams F1) შასი: უილიამს FW23 (Williams FW23). ძრავა ბმვ (E41 BMWE41). საბურავი: მიშლენი (ქუსრდუდშტ) დებიუტი „ფორმულა-1“-ში. 1975 წლის 12 იანვარს „არგენტინის გრან-პრიზე“. „გრან-პრიში“ მონაწილეობა: 378-ჯერ — 103 გამარჯვება, 108 პოულ-პოზნიში, კვალიფიკაციაში 111 უსწრაფესი წრე.

კონსტრუქტორთა თასი: 9 (1980, 1981, 1986, 1987, 1992-1994, 1996, 1997). ჩემპიონის ტიტულები: 7 (ალან ჯონსი — 1980, კეკე როსბერგი — 1982, ნელსონ პიკე — 1987, ნაიჯელ მენსელო — 1992, ალან პროსტი — 1993, ჯაიმონ ჰილი — 1996, ჟაკ ვილნევი — 1997).



ბენეტონი

ოფიციალური სახელწოდებაა მაილდ სევენ ბენეტონ რენო სპორტ (Mild Seven Benetton Renault Sport) 1981-1985 წლებში „ტოულმენის“ მარკით გამოდიოდა. შასი: ბენეტონ B201 (Benetton B201). ძრავა: რენო R521 (Renailt RS21). საბურავი: მიშლენ (Michelen). დებიუტი „ფორმულა-1“-ში 1986 წლის 23 მარტს „ბრაზილიის გრან-პრიში“. მონაწილეობდა 243-ჯერ — 27 გამარჯვება, 15 პოულ-პოზიშნი, 36 უსწრაფესი წრე. კონსტრუქტორთა თასი: 1 (1995). ჩემპიონის ტიტული: 2 (მიხაელ შუმახერი — 1994, 1995).

მიხაელ შუმახერი — ვინ ვინაა — რუბენს ბარიკელო

მიხაელ შუმახერი

„ფორმულა-1“-ის წლევანდელ ჩემპიონატში, რომლის 8 ეტაპი უკვე განვლეს მონაწილეებმა (სულ 17-ია), მსოფლიოს 22 წამყვანი პილოტი იბრძვის გერმანელ მიხაელ შუმახერს ჩემპიონის წოდება რომ ჩამოართვას. ეს სახელი „ფორმულა-1“-ში კარგადაა ცნობილი და მკითხველებს პირველად ამ შესანიშნავ ოსტატს წარვუდგენთ: მაშ, მიხაელ შუმახერი. დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ქ. კერპენში (გერმანია). „ფორმულა-1“-ში დებიუტი: „ბელგიის გრან-პრიში“ — 1991 წლის 25 აგვისტოს. გუნდები „ჯორდანი“ (1991), „ბენეტონი“ (1991-1995), „ფერარი“ (1996-2001). საუკეთესო მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (1994, 1995, 2000). „გრან-პრის“ 143 სტარტიდან გაიმარჯვა 44-ჯერ, 32 პოულ-პოზიშნი, 59-ჯერ პირველ რიგში აიღო სტარტი, 41 უსწრაფესი წრე რბოლაში. სულ მოიპოვა 678 ქულა. ცხოვრობს შვეიცარიაში. ცოლი კარინა, ორი შვილი, გოგო ჯინა-მარია, ვაჟი მიკი.

ბარიკელო

დაიბადა 1972 წლის 23 მაისს ქ. სან-პაულუში (ბრაზილია). დებიუტი „ფორმულა-1“-ში „აფრიკის გრან-პრიზე“ — 1993 წლის 14 მარტს. გუნდები: „ჯორდანი“ (1993-1996), „სტიუარტი“ (1997-1999), „ფერარი“ (2000-2001). საუკეთესო მიღწევა: მე-4 ადგილი ჩემპიონატში (2000). გრან-პრის 130 სტარტიდან 1 გამარჯვება, 15 პოდიუმი, 3 პოულ-პოზიშანი, 5 სტარტი პირველ რიგში, 3 უსწრაფესი წრერბოლაში. სულ დააგროვა 139 ქულა.

ცხოვრობს სან-პაულუსა და მონტე-კარლოში. მეუღლე — სილვანა, შვილი არა ჰყავს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



15 ივნისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. ევროკა. „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00). *ESPN.* იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (17.30), სპორტის ახალი ამბები (19.30, 00.00, 01.30, 05.30), კალათბურთი. ნბა, ფინალები (06.00), *EUROSPORT.* მოტორბოლა. გრან-პრი (15.30, 2.45), კლდიდან წყალხტომი. მსოფლიო ტური, იტალიიდან (23.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45). ***HTB плюс футбол.*** „საფეხბურთო არქივის არხი“. ევროპის ჩემპიონატი: დანია — ჩეხეთი (14.15), სლოვენია — ნორვეგია (17.50), საფრანგეთი — ჰოლანდია (20.45). კონფედერაციის თასი: ნახევარფინალი, №1 (16.00), ნახევარფინალი, №2 (23.25), ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (20.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.10). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (14.40), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. იაპონია — იტალია, ქალები (15.10), რუსეთი — აშშ, ქალები (17.45), კუბა- ჰოლანდია, ქალები (19.10), რუსეთი — იტალია, ქალები (23.55), წყალბურთი: ევროპის ჩემპიონატი, ვაჟები — საფრანგეთი — რუსეთი (16.40), იუგოსლავია — ესპანეთი (21.55), საფრანგეთი — რუსეთი (1.30), ტაილანდური კრივი (19.00).

16 ივნისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი: საქართველოს „ვიტ-ჯორჯია“ — ავსტრიის „რადი“ (18.00), რუსთავი-2. ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), *ESPN.* კალათბურთი. ნბა. ქალები (18.30); *EUROSPORT.* საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (12.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30. 4.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (2.45), ***HTB плюс футбол.*** კონფედერაციის თასი: ნახევარფინალი №2 (13.15), ფინალი (20.50), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.00), „საფეხბურთო არქივის არხი“: ევროპის ჩემპიონატი. თურქეთი — პორტუგალია (15.45), იტალია — რუმინეთი (22.55), მსოფლიო ფეხბურთი (17.30), ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა, ფინალის მე-5 მატჩი (11.40, 19.00), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი, ქალები (15.35), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი, ვაჟები: საფრანგეთი — რუსეთი (21.55).

17 ივნისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (11.50), *ESPN.* ცხენოსნობა. დაიჯესტი (08.00), *EUROSPORT.* მოტორბოლა. კატალონიის გრან-პრი (13.00), რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 3.45), ***HTB плюс футбол.*** კონფედერაციის თასი. ფინალი (15.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.55, 19.55), „საფეხბურთო არქივის არხი“. ევროპის ჩემპიონატი, ჰოლანდია — იუგოსლავია, მეოთხედფინალი (21.55), იტალია — საფრანგეთი, მეოთხედფინალი (0.45). ***ტელეკომპანია VII არხი,*** სტუდია „ერა“. „ბრძოლა წესების გარეშე“, დოკუმენტური ფილმი (23.35).

საჭადრაკო ზეიმი...

ლოზანაში უკვე მესამედ ჩატარდა 12 ახალგაზრდა დიდოსტატის საერთაშორისო ტურნირი. ორგანიზატორები საგანგებოდ არჩევენ ამ ასპარეზობის შემადგენლობას, იწვევენ მასში ყველაზე ნიჭიერ მოჭადრაკეებს, თვით მისი მოწყობის იდეა კი სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩსა და ფიდეს პრეზიდენტს კირსან ილიუმჟინოვს ეკუთვნით. შეჯიბრება ნოკაუტ-სისტემით ჩატარდა. პირველი წრის მეოთხედფინალური და ნახევარფინალური ასპარეზობების შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბაკრო (საფრანგეთი) და ბრუზონი (კუბა). ორივე ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა, მაგრამ ბრუზონმა მოიგო შავებით პირველი სწრაფი პარტია, მეორე კი ყაიმით დასრულა.

საჭადრაკო ამოცანა
ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ლa7! 1. ...მფe5 2. ლg7X.
1. ...მფc5 2. d4X. 1. ...მფc3 2. ლa1X.
1. ...მფe3 2. ეe6X. 1. ...d6 2. ეc6X.

„ლელოს“ №43-ში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ავტორია ოთარ მამულაშვილი და არა ა. ლებედევი.



კროსვორდი № 46 ● შერეული

თარაზულად: 2. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 5. უმცირესი ფიგურა ჭადრაკში, 7. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი — მოჭიდავე, 8. ხალხის ერთობლიობა ერთ ქვეყანაში, 10. ცხენოსანი, ანუ... 11. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი, 14. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი ფრედერიკო... 16. ლელობურთის მსგავსი თამაში, 18. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი — მეკარე, 19. იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მჩემპიონი. 20. ნორვეგიელი ფეხბურთელი, ნაკრების თავდამსხმელი, 21. სოფელი წალენჯიხის რაიონში, 22. იტალიის საფეხ. კლუბი, 23. აშშ-ის ყოფილი პირველი ლედის სახელი.

შვეულად: 1. სპორტის სახეობა, 2. ნინო დუმბაძის ვაჟიშვილი, ცნობილი მძლეოსანი (გვარი), 3. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, 4. ძიძის შვილი, ანუ... 5. მოჭადრაკე კრამლინგის სახელი, 6. საჩოგბრთო მოედანი, 9. ლეგანსკის საფეხბ. კლუბი, 12. ცნობილი რუსი კალათბურთელი, 13. ქართული საფეხბურთო კლუბი (I ლიგა), 15. რელიგიური მიმდინარეობა, 16. ადმინისტრაციული დანაყოფი, 17. თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი — მცველი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
თარაზულად: 1. ესტაფეტა, 4. „ოლიმპი“, 8. ესპანეთი, 10. „ბაია“, 11. სკა, 14. აბაშიძე, 15. კროშე, 19. ქაბული, 21. ხერგიანი, 23. ეკრანი, 24. თაღი, 25. გაგარინი.
შვეულად: 1. ესეგუა, 2. ფრე, 3. ანა, 5. ლოთი, 6. პუშკაში, 7. გირაო, 9. ნილოსი, 12. ლიდერი, 13. „ფრაიბურგი“, 16. კახეთი. 17. პრაღა, 18. შირეა, 19. ქველი, 20. ლანდი, 22. „ალგა“.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.